

სააბონენტო (გაერთიანებული) ხელშეკრულება

ხელშეკრულების გაფორმების თარიღი და იდენტიფიკატორი [რიცხვი] [თვე] [წელი] [P ID]

მხარეები:	ოპერატორი	აბონენტი
სახელი/სახელწოდება:	შპს „მაგტიკომი“,	
საიდ./პირადი N	204876606	
საკონტაქტო ტელ.:	(995 32) 217 00 00, 110011 (ცხელი ხაზი)	
საკონტაქტო ელ.ფოსტა:	office@magticom.ge	
(იურიდიული) მისამართი:	ქ. თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას #7	

ოპერატორის საბანკო რეკვიზიტები: GE96TB0600000899467899; GE66BG0000000241607901; GE81LB0113116112371050

აბონენტის (იურიდიული პირის შემთხვევაში ან თუ ფიზიკური პირის სახელით ხელმომწერი სხვა პირია) უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაცემები:

სახელი	გვარი	პირადი ნომერი

1. ზოგადი პირობები

1.1 ოპერატორი გაუწევს აბონენტს, აბონენტის მიერ არჩეულ ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებას. ოპერატორის მიერ შეთავაზებული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებებია (შემდგომში „მომსახურება“/„მომსახურების სახეობები“): **მობილური საკომუნიკაციო/ფიქსირებულ ინტერნეტ/Internet Protocol Television(IPTV)/Voice over Internet Protocol (VoIP) მომსახურებები.**

1.2 აბონენტის მიერ არჩეული 1.1 პუნქტში აღნიშნული კონკრეტული მომსახურებ(ებ)ის სახეობა და მასთან დაკავშირებული სტანდარტული საფასური (ტარიფები), სააბონენტო ნომერ(ებ)ი, სიმ-ბარათი ნომერ(ებ)ი, მათი სახეობა/მიზნობრიობა, IPTV მომსახურებისას ტელეარხების ჩამონათვალი, ინსტალაციის პირობები და ფასი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა, დამატებითი სპეციფიკური პირობები მითითებულია წინამდებარე სააბონენტო ხელშეკრულების შესაბამის დანართებში/შეთანხმებებში. დანართი/შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შეთანხმებას, ოპერატორის მიერ განსაზღვრული პირობებით, ხელშეკრულების საფუძველზე, ოპერატორის მიერ აბონენტისათვის კონკრეტული მომსახურების სახეობის მიწოდების პირობებზე (შემდგომში „მომსახურების დანართი“ ან „დანართი“). აღნიშნული დანართი, რომელიც ეხება კონკრეტული მომსახურების სახეობას, წარმოადგენს წინამდებარე სააბონენტო ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

1.3 მომსახურების მიწოდება ხორციელდება: 1. წინამდებარე სააბონენტო ხელშეკრულების; 2 „მომსახურების მიწოდების სტანდარტული პირობების“, 3. „კონფიდენციალურობის პოლიტიკის“ და 4. „კეთილსინდისიერი სარგებლობის წესების“ საფუძველზე. ჩამოთვლილი დოკუმენტები, წინამდებარე დოკუმენტთან ერთად წარმოადგენენ ერთიან (მთლიან) ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურების ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება). აღნიშნული დოკუმენტები განთავსებულია ოპერატორის ვებგვერდზე (www.magticom.ge) და ხელშეკრულების მე-3 მუხლით განსაზღვრული წესით გაფორმების შემდგომ იგი ხელმისაწვდომი გახდება ოპერატორის ელექტრონულ პორტალის (mymagti.ge) (შემდგომში „პორტალი“) აბონენტის გვერდზე რეგისტრაციისთანავე. პორტალზე აბონენტის რეგისტრაცია ხორციელდება სააბონენტო მობილურ ნომერზე/საკონტაქტო (მობილურ ნომერზე) გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინებით გაგზავნილი ვერიფიკაციის კოდის საფუძველზე. წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, აბონენტის მხრიდან ახალი მომსახურების სახეობის დამატების/გაუქმების მოთხოვნის შემთხვევაში, წინამდებარე სააბონენტო ხელშეკრულებას დაემატება ამ ახალი მომსახურების დანართი, ხოლო არსებული მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაში, ამ კონკრეტული მომსახურების დანართი ჩაითვლება გაუქმებულად (ძალადაკარგულად), თუ კონკრეტული დანართით/დამატებითი შეთანხმებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული. აღნიშნული ქმედება გულისხმობს ამ ახალი მომსახურების დამატების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას ან არსებული მომსახურების გაუქმების შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტას.

1.4 ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ფარგლებში, მომსახურების გაწევის სტანდარტული პირობების და წინამდებარე სააბონენტო ხელშეკრულების შესაბამისად, ოპერატორი უზრუნველყოფს აბონენტისათვის, აბონენტის მიერ შერჩეული, შესაბამისი მომსახურების დანართის შესაბამისად, როგორც

მობილურ საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებას ქსელის დაფარვის მოქმედების ტერიტორიაზე, ასევე ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის საშუალებით ფიქსირებულ ინტერნეტ მომსახურების ან ფიქსირებულ ინტერნეტ მომსახურებასთან ერთად IPTV და VoIP მომსახურების მიწოდებას, ხოლო აბონენტი გადაიხდის მომსახურების საფასურს და შეასრულებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებებს.

1.5 გაფრთხილება! აბონენტი წინამდებარე სააბონენტო ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ სრულად გაეცნო და ეთანხმება 1.3 პუნქტში მითითებულ ყველა დოკუმენტს. შესაბამისად, აბონენტის მხრიდან ხელმოწერის განხორციელებამდე, თუ აბონენტი არ არის გაცნობილი ჩამოთვლილ დოკუმენტებს, იგი ვალდებულია სათანადოდ გაეცნოს მათ, აღიქვას მათი შინაარსი და მხოლოდ ამის შემდეგ განახორციელოს ხელმოწერა. ამასთან, აბონენტს უფლება აქვს ოპერატორის წარმომადგენლისაგან მოითხოვოს დოკუმენტების გაცნობა მისთვის სასურველი ფორმით, მათ შორის, მატერიალური ფორმით (ნაბეჭდი სახით) გადაცემა. ზემოაღნიშნული პირობიდან გამომდინარე მიიჩნევა, რომ მომხმარებელს/აბონენტს გააჩნია შესაბამისი და საკმარისი ცოდნა თუ რა სამართლებრივი შედეგები შესაძლოა მოჰყვეს წინამდებარე სააბონენტო ხელშეკრულების გაფორმებას და მასში განსაზღვრული პირობების ამოქმედებას.

1.6 თუ წინამდებარე სააბონენტო ხელშეკრულების გაფორმების დროს, მხარეებს შორის უკვე არსებობს მობილური საკომუნიკაციო/ფიქსირებული ინტერნეტ/IPTV/VoIP მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულება ან ხელშეკრულებები, წინამდებარე სააბონენტო ხელშეკრულება ჩაანაცვლებს ყველა მათგანს და შესაბამისად ყველა, ამ სააბონენტო ხელშეკრულებამდე გაფორმებული, ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება/ხელშეკრულებები მიიჩნევა ძალადაკარგულად. თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს: ა) აბონენტის სახელზე უკვე რეგისტრირებული სააბონენტო ნომრ(ებ)ის ცვლილებას; ბ) კონკრეტულ სააბონენტო ნომრებზე/მომსახურებებზე აბონენტის მიერ არჩეული ტარიფის ცვლილებას; გ) კონკრეტულ სააბონენტო ნომრებზე/მომსახურებებზე ამ ხელშეკრულების გაფორმების დღეს არსებულ სტატუსს (მომსახურების შეზღუდვის/შეწყვეტის ვადის ათვლას/გადაწევას); დ) სააბონენტო ნომრის/ნომრებით სარგებლობის მიზნობრიობის ცვლილებას; ე) მიღება-ჩაბარების აქტის გაუქმებას.

1.7 ხელშეკრულებაში დღეებით გამოხატული დრო გულისხმობს კალენდარულ დღეს, ხოლო სამუშაო დღე გულისხმობს ყველა დღეს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, გარდა მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეებისა.

2. პერსონალური მონაცემები

2.1 აბონენტის პერსონალური მონაცემები.

2.1.1 ხელშეკრულების გაფორმებისას, ოპერატორი საკუთარ მონაცემთა ბაზაში არეგისტრირებს აბონენტის პერსონალურ მონაცემებს (შემდგომში - „მონაცემები“). მონაცემების კატეგორიების ჩამონათვალი, დამუშავების საფუძვლები, მიზნები, წესები, ისევე როგორც ოპერატორის მიერ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით აბონენტის უფლებები განისაზღვრება „კონფიდენციალურობის პოლიტიკის“ შესაბამისად. ამასთან, ოპერატორი არ გამოიციბავს, რომ ცალკეული მონაცემები ოპერატორის მონაცემთა ბაზაში დავიანებით დაფიქსირდეს/აისახოს.

2.1.2 კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესაბამისად მონაცემთა დამუშავება ხორციელდება აბონენტის სრულფასოვანი იდენტიფიცირების და მისთვის მომსახურების გაწევის მიზნებისათვის.

2.1.3 ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აბონენტისათვის ცნობილია და მხედველობაში იღებს, რომ:

ა) მის შესახებ მონაცემები ოპერატორის მიერ დამუშავდება „კონფიდენციალურობის პოლიტიკის“ შესაბამისად;

ბ) ოპერატორმა შესაძლოა, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად და მომსახურების მიწოდების ფარგლებში ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად განახორციელოს მონაცემების გამჟღავნება ოპერატორის ჯგუფის კომპანიებზე/როუმინგ პარტნიორებზე, სხვა ავტორიზებულ ან ლიცენზირებულ ოპერატორებზე, ან მიმწოდებლებზე ან ოპერატორთან აფილირებულ კომპანიებზე მომსახურების ჯეროვნად მიწოდების ან ოპერატორის სხვა ლეგიტიმური მიზნით. მონაცემების ასევე შესაძლოა გადაეცეს მესამე პირებს, ოპერატორთან არსებული დავალიანების რეპორტირების, ოპერატორის მომსახურებების გაუმჯობესების და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, ადმინისტრირების, სააბონენტო ანგარიშის მართვის, თაღლითური ქმედებების თავიდან აცილების მიზნებისათვის. აღნიშნულ შემთხვევაში, მონაცემების გამჟღავნება ოპერატორის მიერ განხორციელდება იმ მოცულობით და მონაცემების იმ სახეობების შესაბამისად, რაც თანაზომიერია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. თუ მონაცემების დამუშავება ოპერატორის დავალებით ხორციელდება მესამე პირის მიერ, ამგვარი პირის შესახებ ინფორმაცია მოცემული იქნება ოპერატორის ვებგვერდზე.

2.1.4 აბონენტი აცხადებს თანხმობას, რომ მის შესახებ გარკვეული მონაცემები, კერძოდ: აბონენტის სახელი, გვარი და პირადი ნომერი გადამოწმდეს შესაბამის კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს/პირის მონაცემთა ბაზაში.

2.1.5 3.1 პუნქტის შესაბამისად აბონენტის მიერ გამოხატული თანხმობის შემთხვევაში, ელექტრონული ხელმოწერის განსახორციელებლად, გამოყენებული სისტემების ფუნქციონირებისათვის, ელექტრონული

- ხელმოწერის და ელექტრონული დოკუმენტის ავთენტურობის და უტყუარობის დასადასტურებლად, ოპერატორი თავად ან/და მესამე პირის მეშვეობით განხორციელებს აბონენტის მონაცემების დამუშავებას, რაც ასევე გულისხმობს აბონენტის ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების დამუშავებას.
- 2.1.6 აბონენტი აცხადებს თანხმობას, რომ დისტანციურად ხელშეკრულების გასაფორმებლად, მომხმარებლის/აბონენტის იდენტიფიცირების და მისი ვინაობის პირადობის მოწმობის ფოტოსურათთან ვერიფიკაციის მიზნებისათვის, გარდა მომხმარებლის/აბონენტის საიდენტიფიკაციო მონაცემებისა, ოპერატორი თავად ან/და მესამე პირის მეშვეობით მოახდენს მომხმარებლის/აბონენტის ფოტოსურათის, მათ შორის დინამიური სელფის შესახებ მონაცემთა დამუშავებას.
- 2.1.7 მომხმარებელს/აბონენტს უფლება აქვს უარი განაცხადოს 2.1.5 ან/და 2.1.6 პუნქტებით განსაზღვრულ სახით მონაცემთა დამუშავებაზე. ამგვარი უარის გაცხადების ფორმა გამოიხატება აბონენტის მხრიდან ამ საშუალებით/ფორმით ხელშეკრულების გაფორმებისაგან თავის შეკავებაში. ასეთ შემთხვევაში, მომხმარებელთან/აბონენტთან ხელშეკრულების გაფორმება, მომხმარებლის/აბონენტის არჩევანით განხორციელდება მატერიალური ფორმით, ოპერატორის ოფისში ოპერატორის წარმომადგენლისა და მომხმარებლის ერთდროული დასწრებით. ამ პუნქტით განსაზღვრული სახით მომხმარებლის/აბონენტის უარი არ ვრცელდება უარის გაცხადებამდე უკვე განხორციელებულ დისტანციურად ან ელექტრონული დოკუმენტის სახით გაფორმებულ ხელშეკრულებებზე და ამგვარი წესით/პროცედურით გაფორმებული ხელშეკრულებები უცვლელად დარჩება ძალაში.
- 2.1.8 აბონენტს უფლება აქვს ოპერატორისათვის მიმართვის გზით ნებისმიერ დროს გამოიხმოს თანხმობა მონაცემების დამუშავებაზე, თუკი ამ მონაცემების დამუშავების ერთადერთი საფუძველი აბონენტის მიერ გამოხატული თანხმობაა და რამაც შეიძლება გამოიწვიოს მისთვის ცალკეული, შესაბამისი მომსახურების, ხელშეკრულების გაფორმების წესზე უარის თქმა ან/და ხელშეკრულების შეწყვეტა. თანხმობის გამოხმობის და აბონენტის, როგორც მონაცემთა სუბიექტის სხვა უფლებების განხორციელების წესი აღწერილია „კონფიდენციალურობის პოლიტიკაში“.
- 2.1.9 მონაცემთა დამუშავების სავალდებულოობა. გარდა ზემო 2.1.8 პუნქტით განსაზღვრული თანხმობის გამოხმობის უფლებისა, აბონენტს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს აბონენტის შესახებ მონაცემების დამუშავების შეწყვეტა ან მონაცემთა დაბლოკვა, თუ არ არსებობს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ამ უფლების შემზღუდველი გარემოება. აღნიშნული უფლების წარმატებით განხორციელება ავტომატურად გამოიწვევს ხელშეკრულების შეწყვეტას და შესაბამისი მომსახურებების შეწყვეტას ან შეჩერებას, რის შესახებაც აბონენტი ხელშეკრულების შეწყვეტამდე/მომსახურების შეწყვეტამდე/შეჩერებამდე გაფრთხილებული იქნება. მიუხედავად აღნიშნულისა, თუკი მოთხოვნა მონაცემების დამუშავების შეწყვეტის გარდა, მოიცავს მოთხოვნას მონაცემების წაშლასა და განადგურებაზე, ამგვარი მოთხოვნა არ დაკმაყოფილებს, რადგან ოპერატორი ვალდებულია უზრუნველყოს აღნიშნული მონაცემების შენახვა, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებიდან გამომდინარე და მისგან დაშვებულ ფარგლებში.
- 2.1.10 მატერიალური ფორმით შენახული მონაცემები. აბონენტი წინამდებარე სააბონენტო ხელშეკრულების გაფორმებისას აცნობიერებს და მხედველობაში იღებს, რომ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებიდან გამომდინარე, ოპერატორი უფლებამოსილია გაანადგუროს ამ სააბონენტო ხელშეკრულების გაფორმებამდე, აბონენტისათვის გაწეულ მომსახურებებთან დაკავშირებული, ყველა სახის (კატეგორიის) მონაცემები და რომელიც ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის დაცულია ოპერატორთან მატერიალური ფორმით (მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია). შესაბამისად, მატერიალური ფორმით დაცული ეს მონაცემები აღარ იქნება ხელმისაწვდომი წინამდებარე სააბონენტო ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ.
- 2.1.11 მონაცემთა შენახვა. აბონენტი წინამდებარე სააბონენტო ხელშეკრულების გაფორმებისას აცნობიერებს და მხედველობაში იღებს, რომ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებიდან გამომდინარე,
- ა) ხელშეკრულების მთლიანად (სრულად - ხელშეკრულების ფარგლებში ყველა მომსახურების) შეწყვეტის მომენტიდან ან კონკრეტული მომსახურების სახეობის შეწყვეტიდან 4 (ოთხი) წლის თავზე, აბონენტის შესახებ ყველა სახის (კატეგორიის) მონაცემები, რომელიც უკავშირდება მთლიანად შეწყვეტილ ხელშეკრულებას ან კონკრეტულად შეწყვეტილ მომსახურებას და რომელიც დაცულია ოპერატორთან, ექვემდებარება წაშლას ან განადგურებას/დეპერსონალიზაციას, გარდა მოქმედი კანონმდებლობით/„კონფიდენციალურობის პოლიტიკით“ განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა.
 - ბ) აბონენტისათვის კონკრეტული სერვისის გაწვიდან ან აბონენტის მიერ კონკრეტული ქმედების განხორციელებიდან, მათ შორის კომუნიკაციის განხორციელებიდან 4 (ოთხი) წლის თავზე, მონაცემები, რომელიც უკავშირდება გადახდებს ან მიღებულ და გაწეულ მომსახურებას, მათ შორის დარიცხული საფასურის და გამავალი/შემავალი სატელეფონო კომუნიკაციის დეტალურ ამონაწერის შესახებ ინფორმაცია ექვემდებარება წაშლას ან განადგურებას/დეპერსონალიზაციას, გარდა მოქმედი კანონმდებლობით/„კონფიდენციალურობის პოლიტიკით“ განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა.

2.2 პირდაპირი მარკეტინგი.

- 2.2.1 მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავებაზე თანხმობა (აბონენტის მიერ მომსახურების დანართის დოკუმენტის ბოლო გვერდზე გაცხადებული ან დისტანციურად (დისტანციური გარიგების ფარგლებში) გამოხატული თანხმობა (თუკი ის არსებობს) გულისხმობს, რომ აბონენტი თანახმაა, ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, მიიღოს ოპერატორის ნებისმიერი სახის სარეკლამო ხასიათის შეტყობინებები, კერძოდ ელექტრონული ფოსტის მისამართის მეშვეობით, მოკლე ტექსტური შეტყობინებები და ხმოვანი ზარები, ასევე, მომსახურების ჭრით (ასეთი შესაძლებლობის შემთხვევაში), რომელიც შეეხება ოპერატორის სერვისებს. აქციებს, ფასდაკლებებს, სპეციალურ შეთავაზებებს და პროდუქტებს (პირდაპირი მარკეტინგი).
- 2.2.2 აბონენტის, როგორც მონაცემთა სუბიექტის მონაცემები, რომელიც შესაძლებელია დაამუშაოს ოპერატორმა პირდაპირი მარკეტინგის ფარგლებში:
- ა) აბონენტის სახელი და გვარი;
 - ბ) აბონენტის მისამართი;
 - გ) აბონენტის სქესი;
 - დ) აბონენტის დაბადების თარიღი და ასაკი;
 - ე) აბონენტის მობილური ტელეფონის ნომერი - სააბონენტო ნომერი (მათ შორის საკონტაქტო ნომერი და მომსახურების UID);
 - ვ) ელექტრონული ფოსტის მისამართი, თუ ამგვარი მონაცემი მითითებული აქვს აბონენტს;
 - ზ) მომსახურების ტიპის და გადახდების შესახებ ინფორმაცია (მონაცემები შეძენილი მომსახურებების/პროდუქტების და მის ფარგლებში აბონენტის მიერ შესრულებული გადახდები(ფინანსური სახის ინფორმაცია);
 - თ) ელექტრონული კომუნიკაციის გადაცემის ფარგლებში დაგენერირებული მონაცემები, კერძოდ ინფორმაცია აბონენტის საკომუნიკაციო ტერმინალური მოწყობილობის ტიპის შესახებ და მობილური საკომუნიკაციო მომსახურების ფარგლებში, ინფორმაცია აბონენტის საკომუნიკაციო ტერმინალური მოწყობილობის ადგილმდებარეობის (ლოკაციის) იდენტიფიცირების შესახებ.
- 2.2.3 აბონენტს, უფლება აქვს, შეუზღუდავად (მრავალჯერადად) და უფასოდ, ნებისმიერ დროს, სააბონენტო ნომრის/საკონტაქტო ნომრის გამოყენებით გამოიხმოს თანხმობა მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავებაზე და მის ფარგლებში მოითხოვოს ოპერატორის სარეკლამო ხასიათის შეტყობინებების მიღების შეწყვეტა ან თუ თანხმობა არ არის გამოხატული, ან ასეთი თანხმობა გამოხმობილი აქვს, პირიქით, განაცხადოს თანხმობა მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავებაზე. თანხმობის გამოხმობა ან თანხმობის გაცხადება შესაძლებელია განხორციელდეს USSD მენიუს გამოყენებით ან/და უშუალოდ ასეთ სარეკლამო ხასიათის შეტყობინებაში განმარტებული წესით, რომლის თაობაზეც აბონენტი დამატებით ინფორმაციას მიიღებს ოპერატორის ცხელ ხაზზე დაკავშირებისას, ოპერატორის აბონენტთა მომსახურების ოფისისათვის მიმართვის გზით, დანართში მითითებული წესით, ოპერატორის ვებგვერდზე ან ოპერატორის მიერ შეთავაზებული სხვა ფორმით. ოპერატორი მოახდენს ამგვარი მოთხოვნის (თანხმობის გამოხმობა/გაცხადება) დაკმაყოფილებას (პირდაპირი მარკეტინგის მიზნებით მონაცემების დამუშავებას/დამუშავების შეწყვეტას), აბონენტის მხრიდან შესაბამისი მიმართვის მიღებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღისა.
- 2.2.4 აბონენტისათვის პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის გაცხადების/გამოხმობის პროცესის გამარტივების და მეტი მოხერხებულობის უზრუნველყოფის მიზნით, აბონენტი თანხმობას აცხადებს, რომ ზედა 2.2.3 პუნქტით განსაზღვრული თანხმობის გაცხადება, ისევე როგორც თანხმობის გამოხმობა პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე აბონენტმა შესაძლებელია მოახდინოს სააბონენტო ნომრის საშუალებით, საკომუნიკაციო ტერმინალურ მოწყობილობაზე *182#-ის კოდის აკრეფით USSD მენიუს გამოყენებით და ამგვარი ნების გამოვლენა მიიჩნევა და უთანაბრდება მის მიერ გამოხატულ თანხმობას/თანხმობის გამოხმობას.
- 2.2.5 ოპერატორის მიერ პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის მონაცემების დამუშავების შეწყვეტა არ გულისხმობს, რომ ოპერატორის მხრიდან შეწყდება საინფორმაციო ხასიათის შეტყობინებების მიწოდება, რაც უკავშირდება აბონენტის მიერ ოპერატორის მომსახურებების და პროდუქტების მოხმარებასთან დაკავშირებულ გამაფრთხილებელ ან საინფორმაციო ხასიათის შეტყობინებებს და რომელთა გაგზავნა წარმოადგენს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნას.
- 2.2.6 აბონენტი აცნობიერებს და მხედველობაში იღებს, რომ ოპერატორი ვერ უზრუნველყოფს სხვა საკომუნიკაციო კომპანიის ქსელიდან გენერირებულ შეტყობინებების დაბლოკვას, რომელიც შესაძლებელია წარმოადგენდეს პირდაპირი მარკეტინგის მიზნით გენერირებულ შეტყობინებებს (მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს), რადგან ოპერატორს არ აქვს უფლება დაბლოკოს ასეთი შეტყობინებები და მათი დაბლოკვა აბონენტმა უნდა განახორციელოს კონკრეტულ შეტყობინებაში მითითებული წესით/ამგვარი შეტყობინების გამომგზავნ პირთან ან გამომგზავნ საკომუნიკაციო ოპერატორთან მიმართვის გზით.

2.2.7 პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე წინამდებარე სააბონენტო ხელშეკრულებით გამოხატული თანხმობა არ გამოიყენება აბონენტი - იურიდიულ პირებთან მიმართებაში და ამგვარი აბონენტის შემთხვევაში პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობა შესაძლებელია გამოიხატოს ოპერატორის მხოლოდ და უშუალოდ სააბონენტო ნომრით მოსარგებლე ფიზიკურმა პირმა (მონაცემთა სუბიექტმა), ისევე როგორც თანხმობის გამოხმაობა უნდა მოახდინოს აღნიშნულმა ფიზიკურმა პირმა. აღნიშნულ შემთხვევაში თანხმობის გაცხადება, ისევე როგორც ამგვარი თანხმობის გამოხმაობა შესაძლებელია განხორციელდეს 2.2.4 პუნქტით განსაზღვრული წესით.

3. ხელშეკრულების გაფორმების პროცედურა

3.1 ხელშეკრულება შესაძლებელია გაფორმდეს როგორც მატერიალურად, ელექტრონულად ან დისტანციური გარიგების წესების გამოყენებით, ისევე როგორც სხვა ელექტრონული საშუალების გამოყენებით, რომელიც ეყრდნობა მომხმარებლის თანხმობის დადასტურების მექანიზმს. ოპერატორი და აბონენტი თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების ელექტრონული დოკუმენტის სახით გაფორმებისას (მისი ხელმოწერისას) გამოიყენებენ ოპერატორის კუთვნილ ხელმოწერის ტაბლეტს. აღნიშნულ შემთხვევაში აბონენტი ადასტურებს, რომ იგი გაცნობილია და ეთანხმება ოპერატორის „შეთანხმებას ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებაზე“, რაც განთავსებულია ოპერატორის ვებგვერდზე - www.magicom.ge.

3.2 მხარეები თანხმდებიან, რომ მომსახურების/დამატებითი სერვისის მიღებისას, ოპერატორის მიერ შეთავაზებული ფორმით/პირობებით როგორიცაა მოკლე ტექსტური შეტყობინება, USSD კოდი, პორტალი, კოდური სიტყვა, ხელმოწერის ტაბლეტზე ხელმოწერა, აბონენტის მხრიდან ნების გამოვლენა: პორტალიდან, სააბონენტო ნომრიდან/საკონტაქტო ნომრიდან ცხელ ხაზზე დაკავშირებისას/ელ.ფოსტის მისამართიდან ან აბონენტის მიერ ნებისმიერ სხვა ფორმით განხორციელებული/გამოხატული დასტური უთანაბრდება მის მიერ გამოხატულ თანხმობას კონკრეტულ გარიგებაზე/ქმედებაზე. თუ აბონენტს დაფიქსირებული აქვს ერთზე მეტი საკონტაქტო ნომერი, საკონტაქტო ნომრის საშუალებით მომსახურების ჩართვის/გამორთვის/შეცვლის და სხვა პირობები მოცემულია ოპერატორის ვებგვერდზე. აბონენტის მიერ ხელმოწერის ტაბლეტით ან სხვა სახით დადასტურებას და ამ საშუალებით შექმნილ ელექტრონულ დოკუმენტს ენიჭება/აქვს იგივე იურიდიული ძალა, რაც მის პირად ხელმოწერას და მატერიალურ დოკუმენტს. ამ პუნქტში აღწერილი საშუალებების გარდა, ოპერატორმა შესაძლებელია გამოიყენოს მომხმარებლების თანხმობის დამადასტურებელი აპრობირებული, სხვა სახის მექანიზმები, მათ შორის დისტანციური გარიგების გაფორმების ფარგლებში და რომელთა მიზანს წარმოადგენს როგორც ხელშეკრულების გაფორმება, ასევე აბონენტის მიერ შერჩეული სხვა დამატებითი მომსახურების მიღების, მის ცვლილების ან გაუქმების პროცედურის გამარტივება და ამ პროცესის მოხერხებულობა.

3.3 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მის შეწყვეტამდე. ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა გულისხმობს ერთ-ერთ შემდეგ ქმედებას: ა) მატერიალურ დოკუმენტზე ფიზიკურ ხელმოწერას; ბ) ხელმოწერის ტაბლეტზე განხორციელებული ხელმოწერას; გ) აბონენტის მიერ ელექტრონული სახით ხელშეკრულების პირობებზე თანხმობას/აქცეპტს (მაგალითად, ღილაკზე „გავეცანი და ვეთანხმები“ თითის დაჭერა); დ) აბონენტის მიერ მითითებულ მობილურის ნომერზე მოკლე შეტყობინების სახით გაგზავნილი ერთჯერადი კოდით დადასტურებას. ოპერატორის მიერ ხელშეკრულება ხელმოწერილად მიიჩნევა, თუ სააბონენტო ხელშეკრულებაში/შესაბამის დანართში ხელმოწერის ადგილზე დატანილი იქნება ოპერატორის სახელწოდება, ლოგო, საიდენტიფიკაციო ნომერი ან სხვა სახის ელექტრონული შტამპი ან ხელმოწერა.

3.4 აბონენტის მიერ ხელშეკრულების პირობების გაცნობა და ხელმოწერა:

3.4.1 თუ ხელშეკრულება ფორმდება ოპერატორის ოფისში: აბონენტი ხელშეკრულების პირობებს ეცნობა ხელმოწერის ტაბლეტის ეკრანზე/მატერიალურ დოკუმენტზე და ხელშეკრულებას ხელს აწერს ფიზიკურად ტაბლეტზე ან ფურცელზე (მატერიალურ დოკუმენტზე).

3.4.2 თუ ხელშეკრულება ფორმდება აბონენტის ფართში (ბინა, ოფისი ან სხვა სივრცე): აბონენტი ხელშეკრულების პირობებს ეცნობა აბონენტის მოწყობილობაზე (აბონენტის კომპიუტერზე ნებისმიერი საძიებო სისტემის გახსნის შემთხვევაში, სადაც გაიხსნება სააბონენტო ხელშეკრულება და შესაბამისი დანართი) და ხელშეკრულების პირობებზე თანხმობას, ადასტურებს დანართზე/ხელშეკრულებაში აბონენტის მიერ მითითებულ მობილური სააბონენტო ნომერზე მოკლე შეტყობინების სახით გაგზავნილი ერთჯერადი კოდის საშუალებით. აღნიშნული კოდის შესაბამის ველში შეყვანის შემდეგ, აბონენტის მიერ ელექტრონული სახით ხელშეკრულების პირობებზე თანხმობა/აქცეპტი (ღილაკზე „გავეცანი და ვეთანხმები“ თითის დაჭერა), ისევე როგორც ელექტრონულ მოწყობილობაზე ხელმოწერა წარმოადგენს ნების გამოვლენას და უთანაბრდება აბონენტის პირად ხელმოწერას. კოდის დაცვასა და გაუმჯდავენებლობაზე ერთპიროვნულად პასუხისმგებელია აბონენტი. შესაბამისად, კოდის საშუალებით განხორციელებული ნებისმიერი ქმედება ჩაითვლება აბონენტის მიერ განხორციელებულად და მის შედეგ(ებ)ზე სრულად პასუხისმგებელია აბონენტი. თუ ხელშეკრულებას აბონენტის ნაცვლად ხელს აწერს/ახორციელებს დადასტურების პროცედურას მომსახურების მისამართზე მყოფი სხვა პირი, იგულისხმება რომ ამ პირს აბონენტისაგან გააჩნია სრული უფლებამოსილება ხელი მოაწეროს/დაეთანხმოს ამ ხელშეკრულებას აბონენტის სახელით.

3.4.3 თუ ხელშეკრულება ფორმდება დისტანციურად (ვებგვერდი/პორტალი): აბონენტი ხელშეკრულების პირობებს ეცნობა ვებგვერდზე/პორტალზე და თანხმობას ადასტურებს დისტანციურად, შესაბამისი იდენტიფიცირების პროცედურის გავლისა და ლილაკზე - მაგალითად, „გავეცანი და ვეთანხმები“ - დაჭერით. ხელშეკრულების დისტანციურად გაფორმებისას აბონენტი უფლებამოსილია ფიზიკური სიმ-ბარათი მიიღოს ოპერატორის ოფისში ან საკურიერო მომსახურების საშუალებით ან გაიაქტიუროს eSIM პორტალის საშუალებით შესაბამისი QR კოდის გამოყენებით, რომლის წესები მოცემულია პორტალზე (იხ. eSIM-ის გააქტიურების წესები). აბონენტის მიერ ფიზიკური სიმ-ბარათი ოპერატორის ოფისში მიღების ან საკურიერო მომსახურების საშუალებით მიღების არჩევის შემთხვევაში, აბონენტი ვალდებულია სიმ-ბარათი ჩაიბაროს ხელშეკრულების დისტანციურად გაფორმებიდან არაუმეტეს 30 (ოცდაათი) დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულება არ შევა ძალაში და არ წარმოშობს მხარეთა უფლება-მოვალეობებს, გარდა აბონენტის ვალდებულებისა გადაიხადოს ოპერატორის მიერ დადგენილი თანხა (მაგ.: სააბონენტო ნომრის/სიმ-ბარათის საფასური, საკურიერო მომსახურების თანხა და სხვ.), რომელიც სიმ-ბარათის მომხმარებლის მიზნით ჩაუბარებლობის გამო ოპერატორის მიერ უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება (ოპერატორის უფლება). აბონენტის მისამართზე სიმ-ბარათის მიწოდების მოთხოვნის შემთხვევაში, აბონენტი ვალდებულია დაეთანხმოს ონლაინ შეკვეთის წესებსა და პირობებს (იხ. ვებგვერდზე განთავსებული ონლაინ შეკვეთის წესები და პირობები). ფიზიკური სიმ-ბარათის ოპერატორის ოფისში მიღებისას, აბონენტის იდენტიფიცირება განხორციელდება მის საკონტაქტო ნომერზე ან ელ. ფოსტაზე მიღებული შესაბამისი კოდის საშუალებით. შესაბამისად, ხსენებული ქმედების დასასრულებლად აბონენტს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს აღნიშნული კოდი და გაუზიაროს იგი ოპერატორის წარმომადგენელს.

3.4.4 თუ ხელშეკრულება ფორმდება ოპერატორის დილერის საშუალებით (ოპერატორის მიერ წინასწარ განსაზღვრული აგენტი): დილერი ჯერ ახორციელებს მომხმარებლის იდენტიფიცირებას და შემდეგ გადასცემს მას ფიზიკურ სიმ-ბარათს. სიმ-ბარათის ტერმინალურ აპარატში მოთავსებისას მომხმარებელი მიიღებს მოკლე ტექსტურ შეტყობინებას შესაბამისი ელექტრონული ლინკის(ბმულის) მითითებით, რომელზეც განთავსებული იქნება დისტანციური ფორმით გასაფორმებელი ხელშეკრულება. აბონენტი, პორტალის, მოკლე ტექსტური შეტყობინების, USSD-ს კოდით ან ოპერატორის მიერ განსაზღვრული სხვა საშუალებით ადასტურებს მის თანხმობას ხელშეკრულების პირობების გაცნობაზე და დისტანციურად ხელშეკრულების გაფორმების ფაქტს. თუ ფიზიკური სიმ-ბარათის მიღებიდან 150 (ასორმოცდაათი) დღის განმავლობაში არ მოხდება ხელშეკრულების პირობების დადასტურება, ხელშეკრულება არ შევა ძალაში და არ წარმოშობს მხარეთა უფლება-მოვალეობებს, გარდა აბონენტის ვალდებულებისა გადაიხადოს სიმ-ბარათის საფასური (სააბონენტო ნომერში/სიმ-ბარათში გადახდილი საფასური უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება).

3.5 ხელშეკრულება ძალაში შედის:

3.5.1 თუ ხელშეკრულება ფორმდება ოპერატორის ოფისში, ხელმოწერის ტაბლეტზე ან მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერისას, ხელმოწერის მომენტიდან;

3.5.2 დისტანციურად (ვებგვერდის/პორტალის საშუალებით) გაფორმებისას, აბონენტის მიერ ფიზიკური სიმ-ბარათის ოპერატორის ოფისში ან კურიერის საშუალებით ჩაბარების შემდეგ, თუ სიმ-ბარათის ჩაბარება მოხდება ხელშეკრულებაზე დისტანციურად დათანხმებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღის ვადაში;

3.5.3 დისტანციურად (ვებგვერდის/პორტალის საშუალებით) გაფორმებისას, აბონენტის მიერ eSIM გააქტიურების მომენტიდან, თუ აღნიშნული განხორციელდება ხელშეკრულებაზე დისტანციურად დათანხმებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღის ვადაში;

3.5.4 ოპერატორის დილერის საშუალებით გაფორმებისას, ოპერატორის მიერ განსაზღვრული ფორმით (პორტალის, მოკლე ტექსტური შეტყობინების, USSD-ს კოდის ან სხვა) დადასტურების მომენტიდან, თუ აღნიშნული განხორციელდება დილერის მიერ სიმ-ბარათის გადაცემიდან არაუგვიანეს 150 დღის განმავლობაში;

3.5.5 აბონენტის ფართში გაფორმებისას მომხმარებლის საკონტაქტო ტელეფონის ნომერზე ოპერატორის მიერ გაგზავნილი კოდის საშუალებით მომხმარებლის მხრიდან დადასტურების მომენტიდან.

3.5.6 პორტირებისას ნომრის პორტირების პროცესის წარმატებით დასრულების მომენტიდან.

4. ქსელში ჩართვა/მომსახურების პირობები

4.1 მობილური საკომუნიკაციო მომსახურების შემთხვევაში:

4.1.1 ოპერატორის ოფისში ხელშეკრულების გაფორმებისას - ოპერატორი დაარეგისტრირებს აბონენტს ფიზიკური სიმ-ბარათის ან E-Sim-ს საშუალებით. სააბონენტო ნომერი ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელში ჩაერთვება (გააქტიურდება) და მომსახურების მიწოდება დაიწყება ხელშეკრულების ძალაში შესვლის და სააბონენტო ანგარიშზე თანხის შეტანის ან მომსახურების პაკეტის შეძენიდან (გააქტიურებიდან) არაუგვიანეს 24 საათში, თუ შესაბამისი დანართით ან სხვა კონკრეტული გარიგებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4.1.2 დისტანციურად ხელშეკრულების გაფორმებისას სააბონენტო ნომერი ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელში ჩაირთვება (გააქტიურდება):

- ა) eSIM-ის შემთხვევაში - აბონენტის მიერ ოპერატორის პორტალის საშუალებით შესაბამისი QR კოდის გამოყენებით eSIM-ის აქტივაციის და სააბონენტო ანგარიშზე თანხის შეტანის ან მომსახურების პაკეტის შეძენიდან არაუგვიანეს 24 (ოცდაოთხი) საათში;
- ბ) ფიზიკური სიმ-ბარათის შემთხვევაში - სიმ-ბარათის მიღების, სააბონენტო ანგარიშზე თანხის შეტანის ან მომსახურების პაკეტის შეძენიდან არაუგვიანეს 24 (ოცდაოთხი) საათში (ფიზიკური სიმ-ბარათის გააქტიურება);

4.1.3 ხელშეკრულების ოპერატორის **დილერთან** გაფორმების შემთხვევაში, 3.4.4 პუნქტში მითითებული საშუალებით სააბონენტო ნომრის აქტივაციის, ფიზიკური სიმ-ბარათის აპარატში მოთავსების და სააბონენტო ანგარიშზე თანხის შეტანის ან მომსახურების პაკეტის შეძენიდან არაუგვიანეს 24 საათში (ფიზიკური სიმ-ბარათის გააქტიურება).

4.1.4 აბონენტმა მომსახურების მისაღებად უნდა გამოიყენოს სააბონენტო მოწყობილობა (აპარატი), რომელიც შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ და ოპერატორის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ტექნიკურ მოთხოვნებს/სტანდარტებს და ოპერატორის მიერ გაცემული სიმ-ბარათი ან E-Sim. ამასთან ოპერატორი არ იქნება პასუხისმგებელი მომსახურების გაწევაზე თუ სააბონენტო (ტერმინალური) მოწყობილობა არ იქნება თავისებური ოპერატორის ქსელთან (მაგ. მოწყობილობის მწარმოებლის მხრიდან ქარხნულად დაწესებული შეზღუდვის გამო).

4.1.5 აბონენტის ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელში ჩართვა ხორციელდება დროებით სარგებლობაში გადაცემული სააბონენტო ნომრით. სააბონენტო ნომრები გამოყენებულ უნდა იქნას იმ მიზნით და დანიშნულებით, რისთვისაც იგი გაცემულ იქნა ოპერატორის მიერ. მაგ. ნუმერაცია - 7XX XXX XXX გამოყენებულ უნდა იყოს მხოლოდ მხოლოდ M2M/IoT მომსახურების მისაღებად.

4.2 ფიქსირებული ინტერნეტ/IPTV/VoIP მომსახურების შემთხვევაში:

4.2.1 ფიქსირებული ინტერნეტ/IPTV/VoIP მომსახურება გააქტიურდება (მომსახურების მიწოდება დაიწყება) ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან, ინსტალაციის საფასურის (ასეთის არსებობისას) და სააბონენტო გადასახდელის გადახდის ან/და მომსახურების პაკეტის შეძენიდან არაუგვიანეს 24 (ოცდაოთხი) საათის განმავლობაში, თუ დანართით ან სხვა კონკრეტული გარიგებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4.2.2 ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების შემთხვევაში, ინტერნეტ-მომსახურებით უსადენო ტექნოლოგიით სარგებლობისას (Wi-Fi), აბონენტი ვალდებულია ქსელის უსაფრთხოებისა და ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის უზრუნველსაყოფად მომსახურების აპარატურას ან/და სააბონენტო მოწყობილობას დაადოს პაროლი და არ დაუშვას აღნიშნული პაროლის გასაჯაროება/ხელმისაწვდომობა მესამე პირებზე.

4.2.3 **VoIP მომსახურების შემთხვევაში,** ინსტალაციის შემდგომ, აბონენტის საკომუნიკაციო ქსელში ჩართვა ხორციელდება დროებით სარგებლობაში გადაცემული სააბონენტო ნომრით. ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების მისაღებად ოპერატორი გამოუყოფს აბონენტს IP მისამართს. ოპერატორი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეცვალოს აბონენტისთვის მინიჭებული IP მისამართი ყოველგვარი დამატებითი ან წინასწარი შეტყობინების გარეშე.

4.2.4 ფიქსირებული ინტერნეტ/IPTV/VoIP მომსახურების შემთხვევაში, შესაძლოა ოპერატორის მიერ განისაზღვროს მომსახურებით სარგებლობისას ჩართული სააბონენტო მოწყობილობის მაქსიმალური რაოდენობა, რის შესახებაც ინფორმაცია მოცემული იქნება ოპერატორის ვებგვერდზე.

4.2.5 IPTV მომსახურებისას:

4.2.5.1 გარკვეულ ტელეარხებზე შესაძლოა შეთავაზებულ იყოს გადახვევა/დაპაუზების ფუნქცია, რომელიც არ წარმოადგენს IPTV მომსახურების სავალდებულო ნაწილს, შესაბამისად, ოპერატორი არ იღებს პასუხისმგებლობას აბონენტის მიერ აღნიშნული ფუნქციებით სარგებლობის შესაძლებლობაზე/უწყვეტობაზე. ამასთან, სხვადასხვა ტელეარხისთვის დროდადრო შესაძლოა გაუქმდეს აღნიშნული ფუნქციები, ასევე შეიცვალოს გადახვევის ხანგრძლივობა, რაზეც ოპერატორი აბონენტს არ გაუგზავნის შეტყობინებას.

4.2.5.2 18+ ტელეარხების და ოპერატორის მიერ განსაზღვრული კონტენტის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური კოდის შეყვანის შემთხვევაში, რომელიც კოდიც აბონენტს ეგზავნება საკონტაქტო ნომერზე ან ელ.ფოსტაზე, ასევე შესაძლოა მითითებული იყოს პორტალზე. არასრულწლოვანებისათვის ასეთი ტელეარხების/კონტენტის ხელმისაწვდომობა, მათ შორის, კოდის დაცულად შენახვა წარმოადგენს აბონენტის პასუხისმგებლობას.

4.2.6 VoIP და IPTV მომსახურების მიღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი ამავე დროს სარგებლობს ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურებით.

4.2.7 აბონენტი უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეუკვეთოს/დაამატოს მომსახურების სახეობა. ნებისმიერი მომსახურების/დამატებითი სერვისის ინსტალაციის, მიღების, დამატების ან/და ცვლილების შესაძლებლობა გეოგრაფიული, ტექნიკური, უსაფრთხოების, თუ სხვა სახის პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინებით, დგინდება ოპერატორის მიერ. ოპერატორი

უზრუნველყოფს შეკვეთილი მომსახურების ინსტალაციას/მიწოდებას ვებგვერდზე გამოქვეყნებული პირობების შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ობიექტური მიზეზით შეუძლებელია შეკვეთილი მომსახურების ინსტალაცია/მიწოდება.

- 4.3** ხელშეკრულება შეიძლება გაფორმდეს როგორც ერთ სააბონენტო ნომერზე/მომსახურებაზე(ფიქსირებული ინტერნეტ/IPTV/VoIP მომსახურების მომხმარებლის საიდენტიფიკაციო ნომერზე(User ID - UID), ასევე რამოდენიმეზე ერთად ან ინდივიდუალურად ცალ-ცალკე. შესაბამისად, ხელშეკრულების პირობების მოქმედება ვრცელდება ინდივიდუალურად თითოეულ სააბონენტო ნომერზე/მომსახურებაზე(UID-ზე), თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

5. მომსახურების ხარისხი

5.1 მობილური საკომუნიკაციო მომსახურებისას:

- 5.1.1** ოპერატორი ვალდებულია მომსახურების მიწოდებისას აღმოფხვრას დაზიანება და აღადგინოს საკომუნიკაციო ქსელის ნორმალურ რეჟიმში ფუნქციონირება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან არაუგვიანეს 12 საათისა. მობილური ინტერნეტ მომსახურების ხარისხობრივი მაჩვენებელი მოცემულია შესაბამის დანართში და ოპერატორის ვებგვერდზე.
- 5.1.2** ხელშეკრულებით განსაზღვრული დათქმებისა, მათ შორის, „მომსახურების მიწოდების სტანდარტული პირობებით“ მოცემული გამონაკლისი შემთხვევების გათვალისწინებით, თუ მომსახურების შეწყვეტის ან შეფერხების ხანგრძლივობა აღემატება წინამდებარე ხელშეკრულების 5.1.1 პუნქტით განსაზღვრულ დროს, ოპერატორის პასუხისმგებლობა, მისი დადასტურებული ბრალეულობის შემთხვევაში, შემოიფარგლება და განისაზღვრება კომპენსაციის ოდენობით შემდეგნაირად:
- ა – ძირითადი მომსახურების შემთხვევაში, უკანასკნელ საანგარიშო პერიოდში აბონენტის მიერ ერთი საათის განმავლობაში საშუალოდ ფაქტობრივად მიღებული მომსახურების საფასურის ოდენობის 1(ერთი) პროცენტით, ყოველ ვადაგადაცილებულ საათზე;
- ბ – დამატებით სერვისების შემთხვევაში, ასეთი მიუღებელი სერვისის საფასურის პროპორციული შემცირებით.
- 5.1.3** 5.1.2 პუნქტით განსაზღვრული კომპენსაცია მოთხოვნილ უნდა იყოს აბონენტის მიერ და მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში იგი დაერიცხება აბონენტს სააბონენტო ანგარიშზე გააქტიურებული მომსახურების ლიმიტის ან ერთეულების სახით.

5.2 ფიქსირებული ინტერნეტ/IPTV მომსახურებისას:

- 5.2.1** ოპერატორი გამოიყენებს გონივრულ ძალისხმევას, რათა უზრუნველყოს შეკვეთილი მომსახურების ხელმისაწვდომობა ყოველთვიური 98,3%-იანი მაჩვენებლით (მხოლოდ ქსელის ტერმინაციის წერტილთან სადენიანი მიერთების შემთხვევაში), რაც გულისხმობს ყოველი სრული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მომსახურების ჯამში არაუმეტეს 12.25 (თორმეტი საათი და ოცდახუთი წუთი) საათიან შეწყვეტას ან შეფერხებას, რომლისთვისაც ოპერატორს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა და რომელიც ამავდროულად არ არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევა (ისეთი დაზიანება, რომელიც არ ჩაითვლება ზემოაღნიშნულ 12.25 საათიან საპატიო პერიოდში).
- 5.2.2** IPTV მომსახურების დროს ხელმისაწვდომობის მაჩვენებელზე გავლენას ახდენს მხოლოდ მომსახურების პაკეტის სრული ხელმიუწვდომლობა (პაკეტში შემავალი ყველა ტელეარხის გათიშვა/შეფერხება და არა რამდენიმე მათგანის, რაც არ ჩაითვლება ხარისხობრივი მაჩვენებლის გაუარესებაში).
- 5.2.3** ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების ხარისხობრივი მაჩვენებელი მოცემულია მომსახურების დანართში და ოპერატორის ვებგვერდზე.
- 5.2.4** ოპერატორის უზრუნველყოფს შეთანხმებული ხარისხით მომსახურების მიწოდებას ქსელის ტერმინაციის წერტილთან სადენიანი მიერთებით. შესაბამისად, მომსახურების ხარისხის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება მაგალითად Wi-Fi მოწყობილობით გასხივებული სიგნალი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ აბონენტი სარგებლობს სარგებლობს მომსახურების აპარატურით (ოპერატორის მიერ მიწოდებული Wi-Fi მოწყობილობით).
- 5.2.5** თუ დაზიანება ქსელის ტერმინაციის წერტილიდან ოპერატორის მხარესაა, ოპერატორი ვალდებულია აღმოფხვრას მომსახურებაში არსებული შეფერხებები და ნაკლოვანებები და აღადგინოს ქსელის/მომსახურების ნორმალურ რეჟიმში ფუნქციონირება ტექნიკური შესაძლებლობების და მის ხელთარსებული რესურსების გამოყენებით, გონივრულ ან კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. თუ დაზიანების აღდგენისათვის საჭიროა დაზიანების ადგილზე მისვლა, მისვლის დრო შეთანხმდება აბონენტთან და იმოქმედებს დაზიანების აღმოფხვრის განსხვავებული ვადა.
- 5.2.6** თუ დაზიანება ქსელის ტერმინაციის წერტილიდან აბონენტის მხარესაა ან გამოწვეულია აბონენტის ქმედებით, ოპერატორი არ არის ვალდებული აღმოფხვრას ამგვარი დაზიანება. ასეთ შემთხვევაში,

ოპერატორის და აბონენტის შეთანხმებით შესაძლოა დაზიანება აღმოფხვრას ოპერატორმა. ასეთი დაზიანების აღმოფხვრის საფასური განისაზღვრება დაზიანების ტიპის დადგენისა და მოკვლევის შედეგად, ინდივიდუალურად, ოპერატორის მიერ. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, დაზიანების დადგენისა და მოკვლევის მიზნებისათვის ოპერატორის ტექნიკური პერსონალის გამოძახება შესაძლოა იყოს ფასიანი.

5.2.7 მომსახურების აპარატურაზე ქარხნული წუნის არსებობისას, ოპერატორი ვალდებულია უზრუნველყოს მისი შეკეთება/შეცვლა საგარანტიო ვადის მოქმედების პერიოდში, საგარანტიო პირობებით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით. თუ გასულია საგარანტიო პერიოდი ან არსებობს საგარანტიო პირობებით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა, რაც გამორიცხავს საგარანტიო პირობების მოქმედებას, ოპერატორი უფლებამოსილია მომსახურების აპარატურის შეკეთება/შეცვლისათვის მოსთხოვოს აბონენტს შესაბამისი საფასურის გადახდა.

5.2.8 ხელშეკრულებით განსაზღვრული დათქმებისა და „მომსახურების მიწოდების სტანდარტული პირობებით“ გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევების გათვალისწინებით, თუ ფიქსირებული ინტერნეტ/IPTV მომსახურების შეწყვეტის ან შეფერხების ხანგრძლივობა გადასცდა ამ ხელშეკრულების 5.2.1 პუნქტით განსაზღვრულ დროს, ოპერატორის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება და განისაზღვრება შემდეგი სახით: ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების/IPTV მომსახურების შემთხვევაში, აბონენტს, სააბონენტო ანგარიშზე გააქტიურდება სააბონენტო ლიმიტი, რომელიც ტოლია შესაბამისი წვეტის დროის პროპორციული სააბონენტო გადასახდელის საფასურის 8%-ის. გაუგებრობისა და ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად, მხარეები თანხმდებიან, რომ ნებისმიერი ამ მომსახურების შემთხვევაში, ამ პუნქტის მიზნებისათვის აბონენტის სააბონენტო ანგარიშზე გასააქტიურებელი ლიმიტის ოდენობა განისაზღვრება, კონკრეტული დასაკომპენსირებელი მომსახურების დაბრუნების მომენტში არსებული სააბონენტო გადასახდელიდან.

5.2.9 ხელშეკრულებით განსაზღვრული დათქმებისა, მათ შორის, „მომსახურების მიწოდების სტანდარტული პირობებით“ მოცემული გამონაკლისი შემთხვევების გათვალისწინებით, თუ VoIP მომსახურების შეწყვეტის ან შეფერხების ხანგრძლივობა აღემატება ამ ხელშეკრულების 5.2.1 პუნქტით განსაზღვრულ დროს, ოპერატორის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება და განისაზღვრება შემდეგნაირად: აბონენტს, სააბონენტო ანგარიშზე გაუაქტიურდება სააბონენტო ლიმიტი, რომელიც ტოლია უკანასკნელ საანგარიშო პერიოდში აბონენტის მიერ ერთი საათის განმავლობაში საშუალოდ ფაქტობრივად მიღებული მომსახურების საფასურის ოდენობის 1 %-ის, ყოველ ვადაგადაცილებულ საათზე.

5.3 მობილური საკომუნიკაციო მომსახურებისას და VoIP მომსახურებისას ერთიანი უწყვეტი ხმოვანი ზარის მაქსიმალური ხანგრძლივობა შეადგენს 30 (ოცდაათი) წუთს.

5.4 მომსახურების შეწყვეტის ან შეფერხების დრო ითვლება აბონენტის მიერ ოპერატორის შეტყობინების მომენტიდან მის აღმოფხვრამდე არსებული დროის მოწაკვეთით.

5.5 აბონენტი უფლებამოსილია მომსახურებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია მიიღოს ოპერატორის ცხელი ხაზის საშუალებით.

6. მომსახურების შეზღუდვა/შეწყვეტა/აღდგენა

6.1 ოპერატორი უფლებამოსილია სრულად ან ნაწილობრივ შეუზღუდოს აბონენტს ნებისმიერი სახის მომსახურების სახეობის მიწოდება:

6.1.1 ავანსის (დეპოზიტის) ამოწურვის შემთხვევაში ან დავალიანების არსებობისას (თუ დამატებითი მომსახურების ან დანართით ან სხვა დამატებითი შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ფიქსირებულ ინტერნეტ/IPTV/VoIP მომსახურებისას მომსახურების ერთ სახეობაზე დავალიანების არსებობისას, შეიზღუდება ყველა მომსახურების სახეობა);

6.1.2 „კეთილსინდისიერი სარგებლობის წესების“ დარღვევისას;

6.1.3 ოპერატორის მიერ აბონენტისთვის გაწეულ ნებისმიერ სხვა მომსახურებაზე დავალიანების არსებობისას, გარდა იმ შემთხვევისა თუ აბონენტს მომსახურება წინასწარ აქვს შეძენილი;

6.1.4 კონკრეტული მომსახურების სახეობის/დამატებითი სერვისის გაუქმების ან მისი მოდიფიცირებისას ან თუ კონკრეტულ ტერიტორიაზე ობიექტური მიზეზების გამო ოპერატორს აღარ ექნება მომსახურებას მიწოდების შესაძლებლობა;

6.1.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში ან მისი პირობების დარღვევისას.

6.2 მობილური საკომუნიკაციო მომსახურებისას ან VoIP მომსახურებისას ოპერატორი უფლებამოსილია სრულად ან ნაწილობრივ კონკრეტულ სააბონენტო ნომერზე შეუზღუდოს აბონენტს მომსახურების მიწოდება:

6.2.1 ცალმხრივად (გამავალი ხმოვანი ზარი, SMS(მობილური საკომუნიკაციო მომსახურებისას) და ყველა სახის ფასიანი მომსახურება) სააბონენტო ნომერზე ავანსის/ერთეულების ამოწურვის შემთხვევაში ან დავალიანების (მათ შორის, პორტირებულ ნომერზე დონორი ოპერატორის ან სხვა მესამე პირის დავალიანების) არსებობისას;

6.2.2 ორმხრივად (შემავალი და გამავალი ხმოვანი ზარი, SMS(მობილური საკომუნიკაციო მომსახურებისას) და ა.შ.) სააბონენტო ნომერზე მომსახურების ბოლო შესყიდვის (თანხის ჩარიცხვა სააბონენტო ანგარიშზე) ან სააბონენტო ნომრიდან ბოლო ფასიანი ქმედებიდან (მომსახურების პაკეტის შეძენისას ფასიან ქმედებად მოიაზრება პაკეტის შეძენა და არა პაკეტით გათვალისწინებული ერთეულებით სარგებლობა) ან ცალმხრივად შეზღუდვიდან 60 (სამოცი) დღის გასვლის შემდეგ;

6.3 მობილური საკომუნიკაციო მომსახურებისას, სიმ-ბარათის/მობილური აპარატის დაკარგვის შემთხვევაში, აბონენტს შესაძლებლობა ექნება დაბლოკოს სააბონენტო ნომერი პორტალის ან ოპერატორის მიერ შეთავაზებული სხვა საშუალებითა და პირობებით. თუ დაბლოკვის დროს ოპერატორის მიერ სხვა პირობა არ იქნება დადგენილი, სააბონენტო ნომრის დაბლოკვის მაქსიმალური ვადა იქნება 30 დღე. თუ ამ ვადაში არ მოხდება ბლოკის მოხსნა, 31-ე დღეს ნომერი გაუქმდება (დაბლოკილ სააბონენტო ნომერზე შეწყდება ხელშეკრულების მოქმედება).

6.4 ნებისმიერი სახეობის მომსახურებისას, სააბონენტო ანგარიშზე ბალანსის/ერთეულების ამოწურვის, დავალიანების, საკომუნიკაციო ქსელის შეფერხების ან დაგეგმილი პროფილაქტიკური სამუშაოების გამო მომსახურების შეზღუდვამდე, ტექნიკური და პროგრამულ-აპარატული ფუნქციონალობის სრული ხელმისაწვდომობის და შესაძლებლობების ფარგლებში, აბონენტის გაფრთხილების მიზნით ოპერატორის მოახდენს ინფორმირებას ინდივიდუალური შეტყობინების მეშვეობით, მომსახურების მოსალოდნელი შეზღუდვის შესახებ, ხოლო სხვა შემთხვევებში (მაგ. ფორს-მაჟორი) ოპერატორი მიიღებს გონივრულ ზომებს აბონენტის ინფორმირებისათვის.

6.5 მობილური საკომუნიკაციო მომსახურების შეზღუდვა ავტომატურად იწვევს დამატებითი სერვისის შეზღუდვას, თუ ასეთი დამატებითი სერვისის პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. **ფიქსირებული ინტერნეტ/IPTV/VoIP მომსახურებისას**, ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების შეზღუდვა იწვევს სხვა მასთან დაკავშირებული მომსახურების სახეობების (VoIP, IPTV) და დამატებითი სერვისების შეზღუდვას, თუ ასეთი მომსახურების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

6.6 მობილური საკომუნიკაციო მომსახურების და VoIP მომსახურების შეზღუდვის პერიოდში შესაძლებელი იქნება ოპერატორის ცხელ ხაზზე და საგანგებო სამსახურის ნომრებზე ზარის განხორციელება.

6.7 ავანსის/ერთეულების ამოწურვის შემთხვევაში ან პაკეტის ვადის გასვლის შემთხვევაში, თუ არ შეიზღუდა მომსახურების მიწოდება აბონენტი ვალდებულია გადაიხადოს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების საფასური.

6.8 მობილური მომსახურებისას მომსახურების მიწოდება განახლებად დავალიანების სრულად დაფარვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სააბონენტო ანგარიშზე დადებითი ბალანსის არსებობის ან შეზღუდვის სხვა საფუძვლის აღმოფხვრიდან 24 საათის განმავლობაში. **ფიქსირებული ინტერნეტ/IPTV/VoIP მომსახურებისას** მომსახურებით სარგებლობის განახლება შესაძლებელია მხოლოდ დავალიანების დაფარვის, შესაბამისი რეაქტივაციის საფასურის (მითითებულია შესაბამის დანართში) გადახდის და სააბონენტო გადასახდელის გადახდიდან ან შეზღუდვის სხვა საფუძვლის აღმოფხვრიდან 24 საათის განმავლობაში. რეაქტივაციის საფასურის გადახდის მოთხოვნის მიზნებისათვის, ოპერატორი მხედველობაში იღებს მისი მოთხოვნის თარიღს და სთავაზობს აბონენტს სამედიკალური პირობებს, რომელიც მოცემულია ოპერატორის ვებგვერდზე.

6.9 თუ კონკრეტული შეთანხმებით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, ფულადი ვალდებულება აბონენტის მხრიდან ოპერატორის წინაშე უნდა შესრულდეს ოპერატორის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ოპერატორი უფლებამოსილი იქნება ერთჯერადად დაარიცხოს მას ჯარიმა გადაუხდელი თანხის 20(ოცი) პროცენტის ოდენობით.

7. ტარიფები

7.1 თითოეული სახეობის მომსახურების სტანდარტული ტარიფები მოცემულია შესაბამისი მომსახურების დანართში და ოპერატორის ვებგვერდზე.

7.2 ტარიფები მოცემულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით, თუ კონკრეტული მომსახურების ტარიფით გათვალისწინებული პირობებით, სხვაგვარად არ არის განსაზღვრული. 112-ის მომსახურების საფასურის დარიცხვა ხორციელდება 2019 წლის 30 დეკემბრის საქართველოს მთავრობის #660 დადგენილებით გათვალისწინებული წესით.

7.3 ოპერატორთან ანგარიშსწორება თითოეულ მომსახურების სახეობაზე წარმოებს წინასწარი გადახდის პირობით. დავალიანების წარმოშობისას, თუ მომსახურების დანართით ან სხვა შეთანხმებით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, აბონენტი ვალდებულია დაფაროს იგი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 5 რიცხვამდე.

7.4 აბონენტი უფლებამოსილია, ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, მისი შეხედულებისამებრ, ოპერატორის მიერ განსაზღვრული ფორმით/პირობებით, გაიაქტიუროს/შეიძინოს ოპერატორის მიერ შეთავაზებული ტარიფი/პაკეტი, მათ შორის თავდაპირველად შერჩეული მომსახურების პაკეტის ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს ახალი მომსახურების დანართის გაფორმების გარეშე, ოპერატორის მიერ 3.2 პუნქტით განსაზღვრული ერთ-ერთი ფორმით.

7.5 სხვა სატარიფო გეგმების/აქციების, შეთავაზებების, მათ შორის დამატებითი სერვისების, საერთაშორისო ხმოვანი ზარების, როუმინგული სერვისის, „სპევ. დანიშნულების ნომრების“ ტარიფები და პირობები მოცემულია ოპერატორის ვებგვერდზე. აბონენტი უფლებამოსილია მისი შეხედულებისამებრ, ოპერატორის მიერ განსაზღვრული ფორმით/პირობებით, გაიაქტიუროს/შეიძინოს ოპერატორის მიერ შეთავაზებული აღნიშნული

სერვისები/პაკეტები. საერთაშორისო დაშვების კოდით სარგებლობის ან ე.წ. სპეც. ნომრებზე დაკავშირების საფასური/პირობები დგინდება ასეთი ნომრის/კოდის მფლობელი პირების მიერ.

7.6 მობილური საკომუნიკაციო მომსახურებისას, თითოეულ სააბონენტო ნომერს გააჩნია ცალკე-ცალკე სააბონენტო ანგარიში, ამასთან, თუ აბონენტი სარგებლობს **ფიქსირებული ინტერნეტ/IPTV/VoIP მომსახურებით**, ამ მომსახურებას გააჩნია დამოუკიდებელი, ამ მომსახურებისთვის მინიჭებული UID სააბონენტო ანგარიში. **ფიქსირებული ინტერნეტ/IPTV/VoIP მომსახურებისას,** აბონენტი სარგებლობს ერთი (საერთო) სააბონენტო ანგარიშით. შესაბამისად, **ფიქსირებული ინტერნეტ/IPTV/VoIP მომსახურებისას,** ბალანსის ამოწურვის შემთხვევაში მომსახურების მიწოდება შეწყდება ყველა **ფიქსირებული ინტერნეტ/IPTV/VoIP მომსახურებაზე. VOIP მომსახურების** ანგარიშზე (VoIP მომსახურების სააბონენტო ნომრზე) უარყოფითი ბალანსის დაფიქსირებისას, დავალიანება დაიფარება საერთო სააბონენტო ანგარიშიდან. აბონენტს შესაძლებლობა აქვს ცალკე განათავსოს თანხა VoIP მომსახურების სააბონენტო ნომრის ანგარიშზე, რომელიც გამოიყენება აბონენტის მიერ VOIP მომსახურების ღირებულების გადასახდელად, გარდა იმ VoIP მომსახურების პაკეტისა, რომლის გადახდა ხორციელდება საერთო სააბონენტო ანგარიშიდან. VoIP მომსახურების ანგარიშზე დადებითი ბალანსის არსებობის მიუხედავად, სხვა მომსახურებებით სარგებლობისთვის აუცილებელია საერთო სააბონენტო ანგარიშზე თანხის შეტანა.

7.7 ანგარიშსწორება ხორციელდება სააბონენტო ანგარიშზე/საიდენტიფიკაციო ნომრზე (UID) თანხის განთავსების ან უშუალოდ მომსახურების პაკეტის შეძენით. ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შესაძლებელია პორტალის ან ოპერატორის ვებგვერდის ან ოპერატორის მიერ შეთავაზებული სხვა საშუალებით. VoIP მომსახურებისას, თუ აბონენტს სურს ისეთი მომსახურების მიღება, რომელიც არ შედის VoIP პაკეტში - ასეთ მომსახურებას მიიღებს VoIP მომსახურების ანგარიშზე ჩარიცხული თანხის პროპორციულად.

7.8 ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად მესამე პირების სერვისის გამოყენებისას, სერვისის საფასური და პირობები დგინდება ასეთი სერვისის გამწვევი კომპანიის მიერ და იგი სცილდება ოპერატორის პასუხისმგებლობის ფარგლებს.

7.9 ფიქსირებული ინტერნეტ/IPTV/VoIP მომსახურებისას მომსახურების შეზღუდვამდე, აბონენტის მიერ მომსახურების ყოველთვიური საფასურის არასრულად (ნაწილობრივ) გადახდის შემთხვევაში, მომსახურების მიწოდების ვადა გაიზრდება არასრულად გადახდილი თანხის პროპორციულად. სააბონენტო ანგარიშზე ბალანსის ამოწურვის გამო მომსახურების შეზღუდვის შემთხვევაში, მომსახურების აღსადგენად აბონენტი ვალდებულია დაფაროს დავალიანება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სრულად გადაიხადოს ერთი თვის სააბონენტო გადასახდელი.

7.10 ოპერატორი უფლებამოსილია აბონენტის ნებისმიერი მომსახურების ანგარიშიდან უაქცეპტო წესით ჩამოჭრას ოპერატორის მიერ გაწეული ნებისმიერი მომსახურების საფასური ან ნებისმიერი სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან მისაღები თანხა.

8. მომსახურების და ხელშეკრულების პირობების ცვლილება

8.1 მომსახურების/ხელშეკრულების პირობები ან ტარიფები სრულად ან ნაწილობრივ შეიძლება ნებისმიერ დროს შეიცვალოს ოპერატორის ინიციატივით, ცალმხრივად მინიმუმ 30 (ოცდაათი) დღით ადრე აბონენტის შეტყობინების საფუძველზე.

8.2 თუ ცვლილებების შედეგად იზრდება მომსახურების საფასური ან არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა, ოპერატორი უზრუნველყოფს აბონენტის ინფორმირებას ინდივიდუალური შეტყობინებით, განახლებული ინფორმაციის მიღების საშუალების მითითებით. ყველა სხვა შემთხვევაში ოპერატორი უფლებამოსილია არ დაიცვას ზედა **8.1 პუნქტით** გათვალისწინებული ვადა.

8.3 აბონენტი უფლებამოსილია ახალი, შეცვლილი პირობების ან ტარიფების ძალაში შესვლამდე, შეცვალოს მომსახურების პაკეტი ან შეწყვიტოს იმ მომსახურების სახეობა, რომელსაც ეხება ამგვარი ცვლილებები ან შეწყვიტოს ხელშეკრულება. თუ აბონენტი გააგრძელებს მომსახურების შეცვლილი პირობებით მიღებას მიიჩნევა, რომ იგი სრულად ეთანხმება ცვლილებებს.

8.4 თუ აბონენტს მომსახურება მიეწოდება სპეციალური აქციით/შეთავაზების ფასით (მაგალითად, ერთდროულად ორი ან მეტი მომსახურების სახეობაზე დადგენილი საფასური), ასეთ შემთხვევაში, რომელიმე ერთი მომსახურების შეჩერებამ ან შეწყვეტამ, მათ შორის, ვადაზე ადრე, შესაძლოა გამოიწვიოს სააბონენტო გადასახდელის/საფასურის ცვლილება/გაზრდა (აქციით/შეთავაზებით სარგებლობის დაწყების დღიდან მისი ვადაზე ადრე შეწყვეტის თარიღამდე ან ვალდებულების ჯეროვნად შესრულების თარიღამდე), აგრეთვე საინსტალაციო საფასურის გადახდის ვალდებულება. აღნიშნულის თაობაზე მითითებული იქნება ასეთი სპეციალური აქციის/შეთავაზების პირობებში.

8.5 აბონენტი უფლებამოსილია გააქტიუროს/შეიძინოს ოპერატორის მიერ შეთავაზებული მისთვის სასურველი სატარიფო გეგმა/დამატებითი სერვისი. ოპერატორი უზრუნველყოფს აბონენტის მიერ შერჩეული სატარიფო გეგმის/ან აქციის პირობების გაცნობის და გააქტიურების შესაძლებლობას სხვადასხვა ფორმით (IVR, SMS, USSD კოდი და ა.შ.) ინფორმაცია ტარიფის შეცვლის, აქციაში/სატარიფო გეგმაში ჩართვის პირობების შესახებ პერიოდულად ქვეყნდება ოპერატორის ვებგვერდზე.

8.6 აბონენტის ნების გამოვლენა შესაძლოა დადასტურდეს SMS, USSD კოდი, პორტალის, აპლიკაციის, საკონტაქტო ნომრიდან/მონაცემებიდან გამოგზავნილი შესაბამისი დასტურით და ნებისმიერი სხვა ფორმით. მომსახურების/დამატებითი სერვისის/მომსახურების პაკეტის აბონენტის მიერ აქტივაცია გულისხმობს, რომ

აბონენტი დეტალურად გაეცნო მის პირობებს და უპირობოდ ეთანხმება მათ. ოპერატორის მიერ გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება ჩათვლება მიღებულად, გაგზავნის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, აბონენტის მიერ მოხდება თუ არა ასეთი შეტყობინების შინაარსის ფიზიკურად მიღება/წაკითხვა/მოსმენა.

8.7 ფიქსირებული ინტერნეტ/IPTV/VoIP მომსახურებისას, თუ კონკრეტული აქციით/შეთავაზებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მომსახურების პაკეტის ცვლილების შემდეგ, აბონენტის ინიციატივით შემდგომი ცვლილება ღირებულებით ნაკლებ პაკეტზე შესაძლებელია მხოლოდ 30 (ოცდაათი) დღის გასვლის შემდეგ, აგრეთვე IPTV მომსახურების დამატებითი ე.წ. თემატური პაკეტების ცვლილება თუ გაუქმება შესაძლებელია აბონენტის მიერ მათი გააქტიურებიდან მხოლოდ 30 (ოცდაათი) დღის გასვლის შემდეგ.

8.8 იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ამ მუხლით დადგენილი წესით, ხელშეკრულების პირობები შესაძლებელია ოპერატორის მიერ ცალმხრივად შეიცვალოს, ოპერატორის ვებგვერდზე ქვეყნდება ხელშეკრულების ტექსტის განახლებული ვერსია, ცვლილებების თარიღების მითითებით და ამ ვერსიას ექნება უპირატესი ძალა მხარეთა შორის მანამდე მოქმედ ხელშეკრულებასთან მიმართებით.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულება ნებისმიერი მომსახურების სახეობაზე (კონკრეტულ ან ყველა მომსახურებაზე) შესაძლებელია შეწყდეს:

9.1.1 მხარეთა შეთანხმებით;

9.1.2 აბონენტის მოთხოვნით;

9.1.3 აბონენტის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ ის ფიზიკური პირია ან აბონენტის ლიკვიდაციისას, თუ ის იურიდიული პირია. აღნიშნული საფუძველით ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს იმ მომენტიდან, როდესაც ოპერატორისათვის დადასტურებულად ცნობილი გახდება ასეთი ფაქტის დადგომის შესახებ;

9.1.4 ოპერატორის ინიციატივით, ცალმხრივად, ხელშეკრულების თუ ოპერატორთან გაფორმებული სხვა რაიმე დამატებითი ხელშეკრულების ფარგლებში „კეთილსინდისიერი სარგებლობის წესების“ დარღვევის შემთხვევაში;

9.1.5 ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, თუ მეორე მხარე არღვევს ხელშეკრულების პირობებს და დამრღვევი მხარე გაფრთხილების (დარღვევის გამოსწორებისათვის დამატებითი ვადის უშუალოდ გასვლის შემთხვევაში) მიუხედავად არ აღმოფხვრის დარღვევას ან გაფრთხილების მიუხედავად განმეორებით დაარღვევს კონკრეტულ ვალდებულებას;

9.1.6 ოპერატორის მიერ, თუ შეუძლებელი გახდება მომსახურების მიწოდება ობიექტური მიზეზების გამო, რაც შეიძლება იყოს მაგალითად: ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელის მნიშვნელოვანი დაზიანება, მესამე პირების მხრიდან ინფრასტრუქტურით/ფართით სარგებლობის შეზღუდვა/აკრძალვა, წინააღმდეგობა უსაფრთხოების სტანდარტებთან, ნებართვის, ავტორიზაციის გაუქმება/შეჩერება, კონკრეტული მომსახურების მიწოდების სრულად შეწყვეტა ან მისი არსებითი მოდიფიცირება და სხვა ისეთი ობიექტური გარემოებები, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ან შეუძლებელს ხდის მომსახურების გაწევას.

9.1.7 მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.2 ხელშეკრულება კონკრეტული მობილური საკომუნიკაციო მომსახურების ნაწილში, კონკრეტულ სააბონენტო ნომერზე, შესაძლებელია შეწყდეს:

9.2.1 ავტომატურად, სააბონენტო ნომერზე მომსახურების ორმხრივად შეზღუდვის საფუძველის 120 (ასოცი) დღის განმავლობაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში;

9.2.2 ავტომატურად, სააბონენტო ნომრის სხვა ქსელში პორტირებისას;

9.2.3 ოპერატორის მიერ, აბონენტის მიერ ხელშეკრულების გაფორმებიდან 150 (ასორმოცდაათი) დღის განმავლობაში სააბონენტო ანგარიშზე თანხის არ შეტანის ან მომსახურების პაკეტის არ შეძენის შემთხვევაში;

9.2.4 ოპერატორის მიერ, თუ აბონენტის მოთხოვნით დაბლოკილი სააბონენტო ნომერზე 30 (ოცდაათი) დღის მერე არ მოიხსნება ბლოკი ოპერატორის მიერ განსაზღვრული პირობებით;

9.2.5 თუ სიმ-ბარათის/eSIM-ის მიღებიდან 150 (ასორმოცდაათი) დღის განმავლობაში არ მოხდება ამ ხელშეკრულებაში აღწერილი რომელიმე მეთოდით სააბონენტო ნომრის გააქტიურება.

9.3 ხელშეკრულება კონკრეტული ფიქსირებული ინტერნეტ/IPTV/VoIP მომსახურების ნაწილში (კონკრეტულ UID-ზე) შესაძლებელია შეწყდეს ავტომატურად, მომსახურების შეზღუდვის საფუძველის 60 (სამოცი) დღის განმავლობაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში. აბონენტი უფლებამოსილია შეწყვიტოს IPTV ან/და VoIP მომსახურება, რაც არ გამოიწვევს ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების შეწყვეტას, მაგრამ ნებისმიერი მიზეზით ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაში, კონკრეტულ UID-ზე ავტომატურად შეწყდება IPTV და VoIP მომსახურების მიწოდებისა.

9.4 ფიქსირებული ინტერნეტ ან/და IPTV ან/და VoIP მომსახურებისას, ხელშეკრულება აღნიშნული მომსახურებების ნაწილში (კონკრეტულ UID-ზე), ასევე შესაძლებელია შეწყდეს, თუ ამას მოითხოვს იმ ფართის

მესაკუთრე/მართლზომიერი მფლობელი, სადაც რეგისტრირებულია აღნიშნული მომსახურება/დამონტაჟებულია მომსახურების აპარატურა.

9.5 აბონენტს, მობილური საკომუნიკაციო ან VoIP მომსახურებისას უფლება აქვს განახორციელოს პორტირება სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი კომპანიის ქსელში. პორტირების მოთხოვნა გულისხმობს ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნას კონკრეტულ სააბონენტო ნომერზე და პორტირების წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ხელშეკრულება პორტირებულ სააბონენტო ნომერზე ჩაითვლება შეწყვეტილად. პორტირების განხორციელების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ოპერატორის ვებგვერდზე.

9.6 თუ აბონენტი ხელშეკრულების ფარგლებში სარგებლობს ორი ან მეტი სააბონენტო ნომრით ან მომსახურების სახეობით, 9.2.1-9.2.5, 9.3, 9.4 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება მხოლოდ კონკრეტულ სააბონენტო ნომერთან/UID-სთან მიმართებაში და სხვა სააბონენტო ნომრებთან/ UID, მომსახურებების მიწოდება გაგრძელდება ხელშეკრულების პირობებითა და შესაბამისი დანართით. კონკრეტულ სააბონენტო ნომერზე ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტისას, ოპერატორი უფლებამოსილია გააუქმოს აღნიშნული სააბონენტო ნომერი, როგორც მობილური საკომუნიკაციო მომსახურებისას, ასევე VoIP მომსახურებისას და გასცეს იგი სხვა აბონენტზე.

9.7 აბონენტს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის (შეწყვეტიდან 3(სამი) წლის განმავლობაში) იმ შეწყვეტილი მომსახურების სააბონენტო ანგარიშის ბალანსზე არსებული და გაუხარჯავი თანხის დაბრუნება ან სხვა სააბონენტო ანგარიშზე გადატანა. აბონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილდება 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში, დავალიანების (მათ შორის, ოპერატორთან არსებული სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე) და მომსახურების ხარჯების გამოკლებით.

9.8 ხელშეკრულების შეწყვეტისას უქმდება სააბონენტო ანგარიშზე არსებული ნებისმიერი სახის ერთეულები, საჩუქარი, შეღავათი, ქულა და სხვა სახის ელექტრონულად გამოსაყენებელი სარგებელი.

9.9 ხელშეკრულება სრულად შეწყვეტილად მიიჩნევა, როდესაც მომსახურების მიწოდება შეწყდება თითოეული დანართით განსაზღვრულ ყველა მომსახურების სახეობაზე.

10. ფიქსირებული ინტერნეტ/IPTV/VoIP მომსახურების მიწოდების განახლება

10.1 მომსახურების აპარატურის დაბრუნებამდე და თუ ოპერატორის ქსელი, მოწყობილობები და ტექნოლოგიური გადაწყვეტები იძლევა საშუალებას, აბონენტს შესაძლებლობა ექნება მიმართოს ოპერატორს ფიქსირებული ინტერნეტ/IPTV/VoIP მომსახურების მომსახურების აღდგენის (განახლების) თხოვნით. მომსახურების განახლებისათვის/აღდგენისათვის აბონენტმა უნდა დაფაროს არსებული დავალიანება. თუ აბონენტს ერიცხება ამ ხელშეკრულების შესაბამისად დავალიანება მომსახურების აპარატურის დაუბრუნებლობის გამო, შეწყვეტილი მომსახურების აღდგენის შემთხვევაში, აბონენტს გაუუქმდება ასეთი დავალიანება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აბონენტს გადახდილი აქვს შესაბამისი თანხა მომსახურების აპარატურის არ დაბრუნების გამო, ჩაითვლება, რომ აღდგენა ხორციელდება აბონენტის პირადი აპარატურით.

10.2 მიუხედავად 9.3 პუნქტში გათვალისწინებული პირობისა, ამ მე-10 მუხლის შესაბამისად მომსახურების მიწოდების განახლების შემთხვევაში, აღნიშნული ჩაითვლება მხარეთა შორის მიღწეულ შეთანხმებად წინამდებარე ხელშეკრულების განახლებაზე. შესაბამისად, ხელშეკრულების მოქმედება დაიწყება მომსახურების მიწოდების განახლების დღიდან და იმოქმედებს ოპერატორის ვებგვერდზე განთავსებული ხელშეკრულების პირობები.

11. ფიქსირებული ინტერნეტ/IPTV/VoIP მომსახურების აპარატურა.

11.1 ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში, აბონენტი ვალდებულია დაუბრუნოს ოპერატორს დროებით სარგებლობაში გადაცემული მომსახურების აპარატურა შეწყვეტის თარიღიდან 75 (სამოცდათხუთმეტი) დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, აბონენტი ვალდებული იქნება გადაიხადოს საკომპენსაციო თანხა შესაბამის მომსახურების დანართში მითითებული ოდენობით და ოპერატორის ვებგვერდზე მოცემული პირობების შესაბამისად.

11.2 მომსახურების აპარატურის დაზიანების შემთხვევაში, აბონენტი ვალდებულია აუწყოს ოპერატორს დაზიანებული მომსახურების აპარატურის საკომპენსაციო თანხა შესაბამის დოკუმენტში/დანართში მითითებული ოდენობით და ოპერატორის ვებგვერდზე მოცემული პირობების შესაბამისად. ამასთან, დაზიანებულად ჩაითვლება ყველა ის მომსახურების აპარატურა, რომელსაც აქვს ნივთობრივი ნაკლი (გარეგანი დეფექტები, ბზარები და სხვა სახის ზემოქმედების ნიშნები).

11.3 აბონენტს ეკრძალება მომსახურების აპარატურის მთლიანობის დარღვევა ან რაიმე ფორმით გადაკეთება, პროგრამული უზრუნველყოფის შეცვლა და ა. შ. თუ კონკრეტული მომსახურების სახეობისთვის ოპერატორის მიერ სხვაგვარად არ იქნება გათვალისწინებული, ფიქსირებული ინტერნეტ ან IPTV მომსახურების მიღებისას აბონენტი ვალდებულია გამოიყენოს მხოლოდ ოპერატორის მიერ გადაცემული აპარატურა (ONT და STB). აღნიშნული პირობა არ ზღუდავს აბონენტს მომსახურების მისაღებად გამოიყენოს მის სარგებლობაში არსებული ნებისმიერი სააბონენტო მოწყობილობა (კომპიუტერი, პლანშეტი და სხვა ტერმინალური მოწყობილობა), მათ შორის, Wi-Fi აპარატურა, თუ ასეთი აპარატურა თავსებადი იქნება მომსახურების აპარატურასთან, შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ სავალდებულო ტექნიკურ მოთხოვნებს/სტანდარტებს და ოპერატორის

ვებგვერდზე გამოქვეყნებულ პირობებს. თუ აბონენტი ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების ან/და IPTV მომსახურების მისაღებად, ოპერატორის მიერ გადაცემული, მომსახურების აპარატურის ნაცვლად გამოიყენებს საკუთარ აპარატურას, აღნიშნულ შემთხვევაში, ოპერატორი არ იქნება პასუხისმგებელი აპარატურის გამართულ მუშაობაზე, მათ შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხობრივი მაჩვენებლებით მომსახურების მიღებაზე, ისევე როგორც მომსახურების აღდგენის ვადებზე.

11.4 თუ მომსახურების აპარატურის გადაცემის დოკუმენტში კონკრეტულად არ არის დაყოფილი მომსახურების აპარატურა და მისი აქსესუარები, ნებისმიერი გადაცემული მომსახურების აპარატურა, გულისხმობს ამ მომსახურების აპარატურის გადაცემას მისი ჯგეროვანი ფუნქციონირებისთვის საჭირო ისეთ აქსესუარებთან ერთად, როგორიცაა კვების ბლოკი, პულტი, ან სხვა, მიუხედავად იმისა, ხდება თუ არა აღნიშნული აქსესუარების მითითება შესაბამის დოკუმენტში.

11.5 მომსახურების მიღების ფართზე აბონენტის არყოფნის შემთხვევაში, აბონენტი უფლებამოსილია შეატყობინოს ოპერატორს იმ პირის ვინაობა, ვინც უფლებამოსილი იქნება აბონენტის სახელით ჩაიბაროს/გადასცეს აპარატურა ან ხელი მოაწეროს/დაეთანხმოს ნებისმიერ დოკუმენტს. ასეთ შემთხვევაში, ასეთი პირი ჩაითვლება აბონენტის მინდობილ/უფლებამოსილ პირად.

11.6 მომსახურების აპარატურის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, ოპერატორი უზრუნველყოფს ასეთი აპარატურის უსასყიდლოდ შეცვლას საგარანტიო პერიოდის მოქმედებისას და საგარანტიო პირობებით დადგენილი წესით. სხვა შემთხვევაში, ოპერატორი უფლებამოსილია მოსთხოვოს აბონენტს აპარატურის საფასური. მომსახურების აპარატურის საგარანტიო პირობების მოქმედების ვადები მითითებულია ოპერატორის ვებგვერდზე.

11.7 მომსახურების აპარატურის გადაცემის ან შეცვლის ან დაბრუნების დროს მატერიალური ან ელექტრონული სახით ფორმდება შესაბამისი დოკუმენტი.

12. პასუხისმგებლობა

12.1 ოპერატორის პასუხისმგებლობა აბონენტის წინაშე შემოიფარგლება წინამდებარე სააბონენტო ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული წესით.

12.2 გარდა ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოქმედი კანონმდებლობით არის დაშვებული, არცერთი მხარე არ არის პასუხისმგებელი მეორეს წინაშე არაპირდაპირი ზიანისათვის, მათ შორის, წარმოების ან საქმიანობის შეჩერების, მონაცემთა დაკარგვის, მიუღებელი სარგებლის ან ნაყოფის ან სხვა არაპირდაპირი დანაკარგისათვის ან მათი შედეგებისათვის.

12.3 მხარეთა სხვა პასუხისმგებლობა განისაზღვრება მომსახურების მიწოდების სტანდარტული პირობებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. პრეტენზიის წარდგენის წესები/დავის გადაწყვეტა

13.1 აბონენტი უფლებამოსილია პრეტენზიით (ზეპირი ან წერილობითი ფორმით) მიმართოს ოპერატორს ცხელ ხაზზე/აბონენტთა მომსახურების ოფისში ან ოპერატორის ვებგვერდზე მითითებულ ელ. ფოსტის მისამართზე ან საკუთრივ საფოსტო მისამართზე. საჩივრის ფორმა და მისი განხილვის წესები მოცემულია ოპერატორის ვებგვერდზე. აბონენტის საჩივარი განხილული იქნება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი ეხება მაუწყებლობის სფეროს (ოპერატორის მიერ წარმოებული სატელევიზიო არხების მაუწყებლობას), პრეტენზია განიხილება „საჩივრების განმხილველი საბჭოს და სააპელაციო საბჭოს დებულებით“ დადგენილი წესების შესაბამისად.

13.2 მხარეებს შორის დავა მხარის (პრეტენდენტის) არჩევანით, განსახილველად შესაძლებელია გადაეცეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან მოქმედ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს (მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე) ან სასამართლოს (თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია წარმოადგენს დავის განმხილველ განსჯად სასამართლოს).

14. დასკვნითი დებულებები

14.1 წინამდებარე სააბონენტო ხელშეკრულების დებულებები ვრცელდება, მასში აღწერილ ყველა სახის მომსახურებაზე, გარდა იმ დებულებებისა, სადაც სპეციალურად აღნიშნულია, რომ ის ეხება მხოლოდ რომელიმე კონკრეტული მომსახურების სახეობას.

14.2 **ხელშეკრულების შემადგენელი დოკუმენტების იერარქია.** თუ სპეციალურად სხვაგვარად არ იქნება აღნიშნული მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, ხელშეკრულებაში შემავალი გარიგებებთან მიმართებაში იმოქმედებს შემდეგი სახის იერარქია, რაც გულისხმობს, რომ სამართლებრივად, უპირატესი ძალა მიენიჭება ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებულ გარიგებებს შემდეგი თანმიმდევრობით (თანმიმდევრობა მოცემულია სამართლებრივი ძალის კლებადობით):

14.2.1 მომსახურების დანართი ან მხარეთა სხვაგვარი შეთანხმება მომსახურების მიწოდებაზე;

14.2.2 წინამდებარე სააბონენტო ხელშეკრულება;

14.2.3 კონფიდენციალურობის პოლიტიკა;

14.2.4 კეთილსინდისიერი სარგებლობის წესები;

14.2.5 მომსახურების მიწოდების სტანდარტული პირობები.

14.3 აბონენტი ადასტურებს, რომ სრულად გაეცნო და ზუსტად აღიქვამს ხელშეკრულების პირობებს/შინაარსს, სამართლებრივ შედეგებს და იგი სრულად შეესაბამება მის ნებას (ეთანხმება მას). ამასთან, მის მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების პირობის შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

14.4 აბონენტი საკუთარი ხელმოწერით ადასტურებს ხელშეკრულებაში მის მიერ მითითებული საკონტაქტო მონაცემების ნამდვილობას და სისწორეს. იმ შემთხვევაში, თუ აბონენტის მიერ მითითებული პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) აღმოჩნდება არასწორი, ოპერატორი უფლებამოსილია ასეთი ფაქტის დადგენისთანავე ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე შეწყვიტოს ხელშეკრულება/მომსახურება.

14.5 ხელმოწერის შემდეგ წინამდებარე ხელშეკრულება ხელმისაწვდომი გახდება პორტალზე აბონენტის გვერდზე რეგისტრაციისთანავე და ასევე გაიგზავნება სააბონენტო ნომერზე ელექტრონული ლინკის(ბმულის) სახით. თუ წინამდებარე ხელშეკრულება და მისი დანართები ფორმდება ელექტრონული დოკუმენტის სახით (არამატერიალური ფორმით), დოკუმენტები ხელმისაწვდომი იქნება ელექტრონულ პორტალზე (MyMagti), აბონენტის მიერ იდენტიფიცირების გავლის შემთხვევაში. ხელშეკრულების/დანართის ელექტრონული ფორმით ოფისში, დილერთან ან აბონენტის ფართში გაფორმებისას, ელექტრონული დოკუმენტი აბონენტს გაეგზავნება სააბონენტო ნომერზე ან საკონტაქტო ნომერზე ბმულის სახით, მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით (ბმული ხელმისაწვდომი იქნება 30 დღის განმავლობაში). აბონენტი უფლებამოსილია მოსთხოვოს ოპერატორს ელექტრონული სახით გაფორმებული დოკუმენტის ასლის ნაბეჭდი სახით მიღება.

ხელმოწერები:

ოპერატორის წარმომადგენელი	აბონენტი/უფლებამოსილი პირი

სააბონენტო ხელშეკრულების დანართი/შეთანხმება

მობილური საკომუნიკაციო მომსახურების შესახებ

სააბონენტო ხელშეკრულების დებულებების საფუძველზე ოპერატორი უზრუნველყოფს აბონენტისათვის მობილურ საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებას შემდეგი პირობების შესაბამისად:

დანართის გაფორმების თარიღი და ნომერი	[რიცხვი] [თვე] [წელი][ნომერი]
აბონენტის სახელი, გვარი/დასახელება:	
პირადი ნომერი/საიდ. ნომერი:	
ოპერატორის დასახელება, საიდ. ნომერი	შპს მაგთიკომი ს.ნ. 204876606
მისამართი:	ქ. თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას #7
საბანკო რეკვიზიტები:	GE96TB0600000899467899; GE66BG0000000241607901; GE81LB0113116112371050

სააბონენტო ნომერი	სიმ-ბარათის ნომერი	სიმ-ბარათის სახეობა	სიმ-ბარათის გამოყენების მიზნობრიობა
XXXXXXXXXXXX	XXXXXXXXXXXX	ფიზიკური/eSim	სტანდარტული/მოდემი - M2M-IoT

სტანდარტული ტარიფები

ფიზიკური სიმ-ბარათის ღირებულება - --- ლ. E-Sim-ის აქტივაცია - ---- ლ. მომსახურების სტანდარტული ტარიფები: ხმოვანი ზარი საქ.-ს მობილურ და ფიქსირებულ ქსელში - --- წუთი - ---- ლ და ზარის წამოწყება --- ლ; SMS (საქ.) - -- - ლ. ინტერნეტი - 1მბ - ----ლ. სტანდარტული და სხვა სატარიფო გეგმების/აქციების, მათ შორის დამატებითი სერვისების, საერთაშორისო ზარების, როუმინგის, „სპეც. ნომრების“ ტარიფები და პირობები მოცემულია ოპერატორის ვებგვერდზე; მომსახურების ტარიფები WiFi მოდემისთვის: 30 დღიანი მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით სარგებლობის ღირებულება ----- ლ (შემდგომში - WiFi პაკეტი). ამასთან, თუ WiFi პაკეტის მოქმედების 30 დღიანი ვადის ამოწურვამდე, აბონენტი შეიძენს იგივე WiFi პაკეტს, ახალი პაკეტის მოქმედების ვადა არ გადაიწვეს და იმოქმედებს წინა WiFi პაკეტის ყიდვიდან 30 დღის განმავლობაში. ----- მეგაბაიტის მოხმარების შემთხვევაში ინტერნეტის სიჩქარე იქნება მაქსიმუმ 300 კბ/წმ.; მაქსიმალური სიჩქარე - 5მბ/წმ. აბონენტი უფლებამოსილია მისი შეხედულებისამებრ, ოპერატორის მიერ განსაზღვრული ფორმით/პირობებით, გაიაქტიუროს/შეიძინოს ოპერატორის მიერ შეთავაზებული ტარიფი/პაკეტი.

მობილური ინტერნეტ მომსახურების დაყოვნება (Latency): < 400 მილიწამი.

თანხმობა მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავებაზე

აბონენტის, როგორც მონაცემთა სუბიექტის მონაცემები, რომელიც, თანხმობის შემთხვევაში შესაძლებელია დამუშავდეს ოპერატორმა პირდაპირი მარკეტინგის მიზნით:

აბონენტის სახელი და გვარი, მისამართი, სქესი, დაბადების თარიღი/ასაკი, სააბონენტო ნომერი, ელ-ფოსტის მისამართი, მომსახურების ტიპის და გადახდების შესახებ ინფორმაცია, საკომუნიკაციო ტერმინალური მოწყობილობის ტიპის და ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია.

(დეტალური პირობები იხილეთ გაერთიანებული სააბონენტო ხელშეკრულების მე-2 მუხლში)

თანხმობას ვაცხადებ ზემოაღნიშნული სააბონენტო ანგარიშის ფარგლებში პირდაპირი მარკეტინგის მიზნით ჩემი მონაცემების დამუშავებაზე და მსურს ოპერატორის სარეკლამო ხასიათის შეტყობინებები, მივიღო სააბონენტო ნომერზე/ ელ- ფოსტაზე, ტექსტური შეტყობინებების ან/და ხმოვანი ზარების სახით. ☐
(დეტალური პირობები გაერთიანებული სააბონენტო ხელშეკრულების მე-2 მუხლში)
მსურს განვაცხადო უარი/ გამოვიხმო ვაცხადებული თანხმობა, ზემოაღნიშნული სააბონენტო ანგარიშის ფარგლებში პირდაპირი მარკეტინგის მიზნით ჩემ შესახებ მონაცემების დამუშავებაზე და სააბონენტო ნომერზე არ/აღარ მივიღო ოპერატორის სარეკლამო ხასიათის შეტყობინებები ☐

შენიშვნა: შემდგომში თანხმობის გამოხმობა ან თანხმობის გაცხადება შესაძლებელია განხორციელდეს, შეუზღუდავად (მრავალჯერადად) და უფასოდ, ნებისმიერ დროს, USSD მენიუს გამოყენებით კოდის *-182# აკრეფით, სარეკლამო ხასიათის შეტყობინებაში განმარტებული წესით. თანხმობის გაცხადების ან თანხმობის გამოხმობის თაობაზე

აბონენტი დამატებით ინფორმაციას მიიღებს ოპერატორის ცხელ ხაზზე-110011 დაკავშირებით, ოპერატორის აბონენტთა მომსახურების ოფისისათვის მიმართვის გზით ან ოპერატორის ვებგვერდზე www.magticom.ge.

თუ წინამდებარე დოკუმენტი ფორმდება ელექტრონული დოკუმენტის სახით (არამატერიალური ფორმით), დოკუმენტი ხელმისაწვდომი იქნება ელექტრონულ პორტალზე (MyMagti), აბონენტის მიერ იდენტიფიცირების გავლის შემთხვევაში. დოკუმენტის ელექტრონული ფორმით ოფისში, დილერთან ან აბონენტის ფართში გაფორმებისას, ელექტრონული დოკუმენტი აბონენტს გაეგზავნება სააბონენტო ნომერზე ბმულის სახით, მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით (ბმული ხელმისაწვდომი იქნება 30 დღის განმავლობაში). აბონენტი უფლებამოსილია მოსთხოვოს ოპერატორს ელექტრონული სახით გაფორმებული დოკუმენტის ასლის ნაბეჭდი სახით მიღება.

ხელმოწერები:

ოპერატორის წარმომადგენელი	აბონენტი/უფლებამოსილი პირი

სააბონენტო ხელშეკრულების დანართი/შეთანხმება

ფიქსირებული ინტერნეტით მომსახურების შესახებ

სააბონენტო ხელშეკრულების დებულებების საფუძველზე ოპერატორი უზრუნველყოფს აბონენტისათვის ფიქსირებული ინტერნეტით მომსახურების მიწოდებას შემდეგი პირობების შესაბამისად:

დანართის გაფორმების თარიღი და ნომერი	[რიცხვი] [თვე] [წელი][ნომერი]
აბონენტის სახელი, გვარი/დასახელება:	
პირადი ნომერი/საიდ. ნომერი:	
UID:	
მომსახურების მიწოდების მისამართ(ებ)ი:	
ოპერატორის დასახელება, საიდ. ნომერი	შპს მაგთიკომი ს.ნ. 204876606
მისამართი:	ქ. თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას #7
საკონტაქტო ნომერი:	
საბანკო რეკვიზიტები:	GE96TB0600000899467899; GE66BG0000000241607901; GE81LB0113116112371050

1. აბონენტის მიერ შეკვეთილი მომსახურება:

მომსახურების კატეგორია	პაკეტი	აღწერა	რაოდ.	ფასი
ფიქსირებული ინტერნეტი				

საანგარიშო პერიოდი: 30 კალენდარული დღე

ხარისხობრივი მაჩვენებლები: დაყოვნება - <400 მილიწამი; დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი - <3 %;

ჯიტერი - <50 მილიწამი. ფაქტობრივად ხელმისაწვდომი ინტერნეტ სიჩქარე, ხელმისაწვდომი უნდა იყოს სულ მცირე არაპიკის საათებში მუდმივად და პიკის საათების 90% ან მთელი დღის 95% შემთხვევაში. პიკის საათის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს დღე-ღამის 24 საათის განმავლობაში 4 საათზე მეტი.

2. აბონენტის მიერ შეკვეთილი მომსახურების სააბონენტო გადასახდელი (ჯამში) დღგ-ს ჩათვლით: [--] ლარი.

3. მომსახურების ინსტალაციის საფასური დღგ-ს ჩათვლით: [--] ლარი.

4. აბონენტის მიერ შეკვეთილი მომსახურების გაწევისათვის ჩატარებული დამატებითი სამუშაოების საფასური დღგ-ს ჩათვლით: [--] ლარი.

5. აბონენტი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში გადაიხადოს წინამდებარე მომსახურების პირობებით განსაზღვრული პირველი თვის სააბონენტო გადასახდელი, ინსტალაციის/დამატებითი ჩატარებული სამუშაოების საფასური (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და შეთანხმების/დამატებითი შეთანხმების შესაბამისად საკუთრებაში გადაცემული აპარატურის ღირებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6. ხელშეკრულებით განსაზღვრული რეაქტივაციის საფასური შეადგენს 5 (ხუთი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

7. აბონენტი ხელშეკრულების გაფორმებით ადასტურებს, რომ მისი თანხმობით ოპერატორმა განახორციელა აბონენტის მომსახურების მიღების მისამართზე მომსახურების გასაწევად საჭირო საინსტალაციო სამუშაოები/მომსახურების აპარატურის მონტაჟი.

8. აბონენტს მომსახურებ(ებ)ის მიღების მიზნით და ამ მომსახურებ(ებ)ის მიწოდების სრული პერიოდის განმავლობაში, დროებით სარგებლობაში, გადაეცა ოპერატორის კუთვნილი შემდეგი დასახელებისა და მახასიათებლების მქონე აპარატურა, ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში, რაც მოცემულია ქვემოთ მითითებულ ცხრილში:

აპარატურის დასახელება	აპარატურის MAC მისამართი	აპარატურის სერიული ნომერი

9. ოპერატორის მიერ აბონენტისათვის გადაცემულ მომსახურების აპარატურაზე ვრცელდება საგარანტიო ვადა, რაც განსაზღვრულია ოპერატორის ვებგვერდზე. ზოგადი საგარანტიო პირობები მოცემულია „მომსახურების მიწოდების სტანდარტულ პირობებში“.

10. ოპერატორის წარმომადგენლებმა აბონენტს სრულად გააცნეს და აუხსნეს მომსახურების აპარატურის მუშაობის, გამოყენების, შენახვის და მოვლის წესები. აბონენტი ხელშეკრულების/წინამდებარე დანართის ხელმოწერით ადასტურებს, რომ გაეცნო მომსახურების აპარატურის ექსპლუატაციისა და უსაფრთხოების დაცვის წესებს.

11. ოპერატორი უფლებამოსილია თავად განახორციელოს მომსახურების აპარატურის დემონტაჟი, რა შემთხვევაშიც აბონენტი ვალდებულია ოპერატორის მოთხოვნისთანავე დაუშვას ოპერატორის წარმომადგენელი მომსახურების მიღების ფართზე მომსახურების აპარატურის დემონტაჟისთვის.

12. მომსახურების აპარატურის ღირებულება მითითებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

მომსახურების აპარატურის დასახელება	ღირებულება, ლარი
ინტერნეტ მომსახურების აპარატურა	
ONT (ინტერნეტ მომსახურების) მოდემი	
ONT მოდემის კვების ბლოკი	
TOTO Link (ინტერნეტ მომსახურების) მოდემი	
TOTO Link-ის კვების ბლოკი	

წინამდებარე დოკუმენტი ხელმისაწვდომი იქნება ელექტრონულ პორტალზე (MyMagti) აბონენტის მიერ იდენტიფიცირების გავლის შემთხვევაში. ამ დოკუმენტის ელექტრონული ფორმით ოფისში ან აბონენტის ფართში გაფორმებისას, დოკუმენტი აბონენტს გაეგზავნება საკონტაქტო ნომერზე ბმულის სახით მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით (ბმული ხელმისაწვდომი იქნება 30 დღის განმავლობაში). აბონენტი უფლებამოსილია მოსთხოვოს ოპერატორს ელექტრონული სახით გაფორმებული დოკუმენტის ასლის ნაბეჭდი სახით მიღება.

ხელმოწერები:

ოპერატორის წარმომადგენელი	აბონენტი/უფლებამოსილი პირი
---------------------------	----------------------------

სააბონენტო ხელშეკრულების დანართი/შეთანხმება

ფიქსირებული ინტერნეტით და IPTV მომსახურების შესახებ

სააბონენტო ხელშეკრულების დებულებების საფუძველზე ოპერატორი უზრუნველყოფს აბონენტისათვის ფიქსირებული ინტერნეტით და IPTV მომსახურების მიწოდებას შემდეგი პირობების შესაბამისად:

დანართის გაფორმების თარიღი და ნომერი	[რიცხვი] [თვე] [წელი][ნომერი]
აბონენტის სახელი, გვარი/დასახელება:	
პირადი ნომერი/საიდ. ნომერი:	
UID:	
მომსახურების მიწოდების მისამართ(ებ)ი:	
ოპერატორის დასახელება, საიდ. ნომერი	შპს მაგთიკომი ს.ნ. 204876606
მისამართი:	ქ. თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას #7
საკონტაქტო ნომერი:	
საბანკო რეკვიზიტები:	GE96TB0600000899467899; GE66BG0000000241607901; GE81LB0113116112371050

1. აბონენტის მიერ შეკვეთილი მომსახურება:

მომსახურების კატეგორია	პაკეტი	აღწერა	რაოდ.	ფასი
ფიქსირებული ინტერნეტი				
IPTV მომსახურება				

საანგარიშო პერიოდი: 30 კალენდარული დღე

ხარისხობრივი მაჩვენებლები: დაყოვნება - <400 მილიწამი; დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი - <3 %;

ჯიტერი - <50 მილიწამი. ფაქტობრივად ხელმისაწვდომი ინტერნეტ სიჩქარე, ხელმისაწვდომი უნდა იყოს სულ მცირე არაპიკის საათებში მუდმივად და პიკის საათების 90% ან მთელი დღის 95% შემთხვევაში. პიკის საათის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს დღე-ღამის 24 საათის განმავლობაში 4 საათზე მეტი.

2. აბონენტის მიერ შეკვეთილი მომსახურების სააბონენტო გადასახდელი (ჯამში) დღე-ს ჩათვლით: [--] ლარი.

3. მომსახურების ინსტალაციის საფასური დღე-ს ჩათვლით: [--] ლარი.

4. აბონენტის მიერ შეკვეთილი მომსახურების გაწვევისათვის ჩატარებული დამატებითი სამუშაოების საფასური დღე-ს ჩათვლით: [--] ლარი.

5. აბონენტი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში გადაიხადოს წინამდებარე მომსახურების პირობებით განსაზღვრული პირველი თვის სააბონენტო გადასახდელი, ინსტალაციის/დამატებითი ჩატარებული სამუშაოების საფასური (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და შეთანხმების/დამატებითი შეთანხმების შესაბამისად საკუთრებაში გადაცემული აპარატურის ღირებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6. ხელშეკრულებით განსაზღვრული რეაქტივაციის საფასური შეადგენს 5 (ხუთი) ლარს, დღე-ს ჩათვლით.

7. აბონენტი ხელშეკრულების გაფორმებით ადასტურებს, რომ მისი თანხმობით ოპერატორმა განახორციელა აბონენტის მომსახურების მიღების მისამართზე მომსახურების გასაწევად საჭირო საინსტალაციო სამუშაოები/მომსახურების აპარატურის მონტაჟი.

8. აბონენტს მომსახურებ(ებ)ის მიღების მიზნით და ამ მომსახურებ(ებ)ის მიწოდების სრული პერიოდის განმავლობაში, დროებით სარგებლობაში, გადაეცა ოპერატორის კუთვნილი შემდეგი დასახელებისა და მახასიათებლების მქონე აპარატურა, ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში, რაც მოცემულია ქვემოთ მითითებულ ცხრილში:

აპარატურის დასახელება	აპარატურის MAC მისამართი	აპარატურის სერიული ნომერი

9. ოპერატორის მიერ აბონენტისათვის გადაცემულ მომსახურების აპარატურაზე ვრცელდება საგარანტიო ვადა, რაც განსაზღვრულია ოპერატორის ვებგვერდზე. ზოგადი საგარანტიო პირობები მოცემულია „მომსახურების მიწოდების სტანდარტულ პირობებში“.
10. ოპერატორის წარმომადგენლებმა აბონენტს სრულად გააცნეს და აუხსნეს მომსახურების აპარატურის მუშაობის, გამოყენების, შენახვის და მოვლის წესები. აბონენტი ხელშეკრულების/წინამდებარე დანართის ხელმოწერით ადასტურებს, რომ გაეცნო მომსახურების აპარატურის ექსპლუატაციისა და უსაფრთხოების დაცვის წესებს.
11. აბონენტის მიერ, მხოლოდ IPTV მომსახურების გაუქმება განხორციელდება აბონენტის მიერ IPTV მომსახურების აპარატურის ოპერატორისათვის დაბრუნების შემდგომ.
12. ოპერატორი უფლებამოსილია თავად განახორციელოს მომსახურების აპარატურის დემონტაჟი, რა შემთხვევაშიც აბონენტი ვალდებულია ოპერატორის მოთხოვნისთანავე დაუშვას ოპერატორის წარმომადგენელი მომსახურების მიღების ფართზე მომსახურების აპარატურის დემონტაჟისთვის.
13. მომსახურების აპარატურის ღირებულება მითითებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

მომსახურების აპარატურის დასახელება	ღირებულება, ლარი
ინტერნეტ მომსახურების აპარატურა	
ONT (ინტერნეტ მომსახურების) მოდემი	
ONT მოდემის კვების ბლოკი	
TOTO Link (ინტერნეტ მომსახურების) მოდემი	
TOTO Link-ის კვების ბლოკი	
IPTV მომსახურების აპარატურა	
IPTV მიმღები	
დისტანციური მართვის პულტი	
HDMI კაბელი	
RCA კაბელი	
კვების ბლოკი	

14. IPTV მომსახურების ფარგლებში ტელეარხების ჩამონათვალი(დანართის გაფორმების დროისათვის აბონენტის მიერ არჩეულ პაკეტში შემაჯალი ტელეარხები):

-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----
-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----
-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----
-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----
-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----
-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----
-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----
-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----

წინამდებარე დოკუმენტი ხელმისაწვდომი იქნება ელექტრონულ პორტალზე (MyMagti) აბონენტის მიერ იდენტიფიცირების გავლის შემთხვევაში. ამ დოკუმენტის ელექტრონული ფორმით ოფისში ან აბონენტის ფართში გაფორმებისას, დოკუმენტი აბონენტს გაეგზავნება საკონტაქტო ნომერზე ბმულის სახით მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით (ბმული ხელმისაწვდომი იქნება 30 დღის განმავლობაში). აბონენტი უფლებამოსილია მოსთხოვოს ოპერატორს ელექტრონული სახით გაფორმებული დოკუმენტის ასლის ნაბეჭდი სახით მიღება.

ხელმოწერები:

ოპერატორის წარმომადგენელი	აბონენტი/უფლებამოსილი პირი

საბონენტო ხელშეკრულების დანართი/შეთანხმება

ფიქსირებული ინტერნეტით და VoIP მომსახურების შესახებ

საბონენტო ხელშეკრულების დებულებების საფუძველზე ოპერატორი უზრუნველყოფს აბონენტისათვის ფიქსირებული ინტერნეტით და VoIP მომსახურების მიწოდებას შემდეგი პირობების შესაბამისად:

დანართის გაფორმების თარიღი და ნომერი	[რიცხვი] [თვე] [წელი][ნომერი]
აბონენტის სახელი, გვარი/დასახელება:	
პირადი ნომერი/საიდ. ნომერი:	
UID:	
მომსახურების მიწოდების მისამართ(ებ)ი:	
ოპერატორის დასახელება, საიდ. ნომერი	შპს მაგთიკომი ს.ნ. 204876606
მისამართი:	ქ. თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას #7
საკონტაქტო ნომერი:	
საბანკო რეკვიზიტები:	GE96TB0600000899467899; GE66BG0000000241607901; GE81LB0113116112371050

1. აბონენტის მიერ შეკვეთილი მომსახურება:

მომსახურების კატეგორია	პაკეტი	აღწერა	რაოდ.	ფასი
ფიქსირებული ინტერნეტი				
VoIP მომსახურება				

საანგარიშო პერიოდი: 30 კალენდარული დღე

ხარისხობრივი მაჩვენებლები: დაყოვნება - <400 მილიწამი; დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი - <3 %;

ჯიტერი - <50 მილიწამი. ფაქტობრივად ხელმისაწვდომი ინტერნეტ სიჩქარე, ხელმისაწვდომი უნდა იყოს სულ მცირე არაპიკის საათებში მუდმივად და პიკის საათების 90% ან მთელი დღის 95% შემთხვევაში. პიკის საათის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს დღე-ღამის 24 საათის განმავლობაში 4 საათზე მეტი.

2. აბონენტის მიერ შეკვეთილი მომსახურების საბონენტო გადასახდელი (ჯამში) დღგ-ს ჩათვლით: [--] ლარი.

3. მომსახურების ინსტალაციის საფასური დღგ-ს ჩათვლით: [--] ლარი.

4. აბონენტის მიერ შეკვეთილი მომსახურების გაწვევისათვის ჩატარებული დამატებითი სამუშაოების საფასური დღგ-ს ჩათვლით: [--] ლარი.

5. აბონენტი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში გადაიხადოს წინამდებარე მომსახურების პირობებით განსაზღვრული პირველი თვის საბონენტო გადასახდელი, ინსტალაციის/დამატებითი ჩატარებული სამუშაოების საფასური (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და შეთანხმების/დამატებითი შეთანხმების შესაბამისად საკუთრებაში გადაცემული აპარატურის ღირებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6. ხელშეკრულებით განსაზღვრული რეაქტივაციის საფასური შეადგენს 5 (ხუთი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

7. აბონენტი ხელშეკრულების გაფორმებით ადასტურებს, რომ მისი თანხმობით ოპერატორმა განახორციელა აბონენტის მომსახურების მიღების მისამართზე მომსახურების გასაწევად საჭირო საინსტალაციო სამუშაოები/მომსახურების აპარატურის მონტაჟი.

8. აბონენტს მომსახურებ(ებ)ის მიღების მიზნით და ამ მომსახურებ(ებ)ის მიწოდების სრული პერიოდის განმავლობაში, დროებით სარგებლობაში, გადაეცა ოპერატორის კუთვნილი შემდეგი დასახელებისა და მახასიათებლების მქონე აპარატურა, ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში, რაც მოცემულია ქვემოთ მითითებულ ცხრილში:

აპარატურის დასახელება	აპარატურის MAC მისამართი	აპარატურის სერიული ნომერი

--	--	--

9. ოპერატორის მიერ აბონენტისათვის გადაცემულ მომსახურების აპარატურაზე ვრცელდება საგარანტიო ვადა, რაც განსაზღვრულია ოპერატორის ვებგვერდზე. ზოგადი საგარანტიო პირობები მოცემულია „მომსახურების მიწოდების სტანდარტულ პირობებში“.

10. ოპერატორის წარმომადგენლებმა აბონენტს სრულად გააცნეს და აუხსნეს მომსახურების აპარატურის მუშაობის, გამოყენების, შენახვის და მოვლის წესები. აბონენტი ხელშეკრულების/წინამდებარე დანართის ხელმოწერით ადასტურებს, რომ გაეცნო მომსახურების აპარატურის ექსპლუატაციისა და უსაფრთხოების დაცვის წესებს.

11. ოპერატორი უფლებამოსილია თავად განახორციელოს მომსახურების აპარატურის დემონტაჟი, რა შემთხვევაშიც აბონენტი ვალდებულია ოპერატორის მოთხოვნისთანავე დაუშვას ოპერატორის წარმომადგენელი მომსახურების მიღების ფართზე მომსახურების აპარატურის დემონტაჟისთვის.

12. მომსახურების აპარატურის ღირებულება მითითებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

მომსახურების აპარატურის დასახელება	ღირებულება, ლარი
ინტერნეტ მომსახურების აპარატურა	
ONT (ინტერნეტ მომსახურების) მოდემი	
ONT მოდემის კვების ბლოკი	
TOTO Link (ინტერნეტ მომსახურების) მოდემი	
TOTO Link-ის კვების ბლოკი	

13. VoIP მომსახურების დამატებითი პირობები:

ოპერატორის ფიქსირებული ქსელი	ულიმიტო (დადებითი ბალანსის ქონის შემთხვევაში)
ოპერატორის ფიქსირებული ქსელები	[-----] თეთრი/წუთი
საქართველოს სხვა მობილური ქსელები	[-----] თეთრი/წუთი
პაკეტის მოქმედების ვადა	[---] დღე

14. სტანდარტული ტარიფები, საერთაშორისო ზარის ღირებულება და სხვა დამატებითი სერვისის ტარიფები/პირობები ასევე მოცემულია ოპერატორის ვებგვერდზე.

15. ამ დანართით გათვალისწინებული პაკეტის ღირებულება აბონენტს დაერიცხება საერთო სააბონენტო ანგარიშზე - UID ანგარიშზე (ინტერნეტ/IPTV მომსახურების საფასურთან ერთად). საანგარიშო პერიოდი შეადგენს 30 კალენდარულ დღეს.

16. ისეთ მომსახურების მიღებისათვის, რომელიც არ შედის პაკეტში (მაგ. საერთაშორისო ზარი, დამატებითი სერვისი და ა. შ.) აბონენტს უნდა ჰქონდეს დადებითი ბალანსი VoIP მომსახურების ანგარიშზე (VoIP მომსახურების სააბონენტო ნომერზე), თუ ასეთი დამატებითი სერვისის პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. VoIP მომსახურების ანგარიშის იდენტიფიკატორია სააბონენტო ნომერი. VoIP მომსახურების ანგარიშიდან შეუძლებელია დანართით გათვალისწინებული ან/და მსგავსი პაკეტის შეძენა.

17. პაკეტით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების მიწოდება არ არის შეზღუდული. თუ ფიქსირებული ინტერნეტ/IPTV მომსახურება შეიზღუდა თანხის გადაუხდელობის გამო, მაგრამ VoIP მომსახურების ანგარიშზე არის დადებითი ბალანსი, აბონენტს ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს VoIP მომსახურებით, მხოლოდ სტანდარტული ტარიფებით, ბალანსის ამოწურვამდე.

18. თუ ფიქსირებული ინტერნეტ/IPTV მომსახურება დაპაუზებულია და VoIP მომსახურების ანგარიშზე არის დადებითი ბალანსი, აბონენტს ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს VoIP მომსახურებით, მხოლოდ სტანდარტული ტარიფებით.

19. აბონენტი ხელშეკრულების/დანართის გაფორმებით ადასტურებს, რომ მისი თანხმობით ოპერატორმა განახორციელა აბონენტის მომსახურების მიღების მისამართზე მომსახურების გასაწევად საჭირო საინსტალაციო სამუშაოები.

წინამდებარე დოკუმენტი ხელმისაწვდომი იქნება ელექტრონულ პორტალზე (MyMagti) აბონენტის მიერ იდენტიფიცირების გავლის შემთხვევაში. ამ დოკუმენტის ელექტრონული ფორმით ოფისში ან აბონენტის ფართში გაფორმებისას, დოკუმენტი აბონენტს გაეგზავნება საკონტაქტო ნომერზე ბმულის სახით მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით (ბმული ხელმისაწვდომი იქნება 30 დღის განმავლობაში). აბონენტი უფლებამოსილია მოსთხოვოს ოპერატორს ელექტრონული სახით გაფორმებული დოკუმენტის ასლის ნაბეჭდი სახით მიღება.

ხელმოწერები:

ოპერატორის წარმომადგენელი	აბონენტი/უფლებამოსილი პირი
---------------------------	----------------------------

სააბონენტო ხელშეკრულების დანართი/შეთანხმება

ფიქსირებული ინტერნეტი, IPTV და VoIP მომსახურების შესახებ

სააბონენტო ხელშეკრულების დებულებების საფუძველზე ოპერატორი უზრუნველყოფს აბონენტისათვის ფიქსირებული ინტერნეტი, IPTV და VoIP მომსახურების მიწოდებას შემდეგი პირობების შესაბამისად:

დანართის გაფორმების თარიღი და ნომერი	[რიცხვი] [თვე] [წელი][ნომერი]
აბონენტის სახელი, გვარი/დასახელება:	
პირადი ნომერი/საიდ. ნომერი:	
UID:	
მომსახურების მიწოდების მისამართ(ებ)ი:	
ოპერატორის დასახელება, საიდ. ნომერი	შპს მაგთიკომი ს.ნ. 204876606
მისამართი:	ქ. თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას #7
საკონტაქტო ნომერი:	
საბანკო რეკვიზიტები:	GE96TB0600000899467899; GE66BG0000000241607901; GE81LB0113116112371050

1. აბონენტის მიერ შეკვეთილი მომსახურება:

მომსახურების კატეგორია	პაკეტი	აღწერა	რაოდ.	ფასი
ფიქსირებული ინტერნეტი				
IPTV მომსახურება				
VoIP მომსახურება				

საანგარიშო პერიოდი: 30 კალენდარული დღე

ხარისხობრივი მაჩვენებლები: დაყოვნება - <400 მილიწამი; დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი - <3 %;

ჯიტერი - <50 მილიწამი. ფაქტობრივად ხელმისაწვდომი ინტერნეტ სიჩქარე, ხელმისაწვდომი უნდა იყოს სულ მცირე არაპიკის საათებში მუდმივად და პიკის საათების 90% ან მთელი დღის 95% შემთხვევაში. პიკის საათის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს დღე-ღამის 24 საათის განმავლობაში 4 საათზე მეტი.

2. აბონენტის მიერ შეკვეთილი მომსახურების სააბონენტო გადასახდელი (ჯამში) დღე-ს ჩათვლით: [--] ლარი.

3. მომსახურების ინსტალაციის საფასური დღე-ს ჩათვლით: [--] ლარი.

4. აბონენტის მიერ შეკვეთილი მომსახურების გაწვევისათვის ჩატარებული დამატებითი სამუშაოების საფასური დღე-ს ჩათვლით: [--] ლარი.

5. აბონენტი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში გადაიხადოს წინამდებარე მომსახურების პირობებით განსაზღვრული პირველი თვის სააბონენტო გადასახდელი, ინსტალაციის/დამატებითი ჩატარებული სამუშაოების საფასური (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და შეთანხმების/დამატებითი შეთანხმების შესაბამისად საკუთრებაში გადაცემული აპარატურის ღირებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6. ხელშეკრულებით განსაზღვრული რეაქტივაციის საფასური შეადგენს 5 (ხუთი) ლარს, დღე-ს ჩათვლით.

7. აბონენტი ხელშეკრულების გაფორმებით ადასტურებს, რომ მისი თანხმობით ოპერატორმა განახორციელა აბონენტის მომსახურების მიღების მისამართზე მომსახურების გასაწევად საჭირო საინსტალაციო სამუშაოები/მომსახურების აპარატურის მონტაჟი.

8. აბონენტს მომსახურებ(ებ)ის მიღების მიზნით და ამ მომსახურებ(ებ)ის მიწოდების სრული პერიოდის განმავლობაში, დროებით სარგებლობაში, გადაეცა ოპერატორის კუთვნილი შემდეგი დასახელებისა და მახასიათებლების მქონე აპარატურა, ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში, რაც მოცემულია ქვემოთ მითითებულ ცხრილში:

აპარატურის დასახელება	აპარატურის MAC მისამართი	აპარატურის სერიული ნომერი
-----------------------	--------------------------	---------------------------

9. ოპერატორის მიერ აბონენტისათვის გადაცემულ მომსახურების აპარატურაზე ვრცელდება საგარანტიო ვადა, რაც განსაზღვრულია ოპერატორის ვებგვერდზე. ზოგადი საგარანტიო პირობები მოცემულია „მომსახურების მიწოდების სტანდარტულ პირობებში“.

10. ოპერატორის წარმომადგენლებმა აბონენტს სრულად გააცნეს და აუხსნეს მომსახურების აპარატურის მუშაობის, გამოყენების, შენახვის და მოვლის წესები. აბონენტი ხელშეკრულების/წინამდებარე დანართის ხელმოწერით ადასტურებს, რომ გაეცნო მომსახურების აპარატურის ექსპლუატაციისა და უსაფრთხოების დაცვის წესებს.

11. აბონენტის მიერ, მხოლოდ IPTV მომსახურების გაუქმება განხორციელდება აბონენტის მიერ IPTV მომსახურების აპარატურის ოპერატორისათვის დაბრუნების შემდგომ.

12. ოპერატორი უფლებამოსილია თავად განახორციელოს მომსახურების აპარატურის დემონტაჟი, რა შემთხვევაშიც აბონენტი ვალდებულია ოპერატორის მოთხოვნისთანავე დაუშვას ოპერატორის წარმომადგენელი მომსახურების მიღების ფართზე მომსახურების აპარატურის დემონტაჟისთვის.

13. მომსახურების აპარატურის ღირებულება მითითებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

მომსახურების აპარატურის დასახელება	ღირებულება, ლარი
ინტერნეტ მომსახურების აპარატურა	
ONT (ინტერნეტ მომსახურების) მოდემი	
ONT მოდემის კვების ბლოკი	
TOTO Link (ინტერნეტ მომსახურების) მოდემი	
TOTO Link-ის კვების ბლოკი	
IPTV მომსახურების აპარატურა	
IPTV მიმღები	
დისტანციური მართვის პულტი	
HDMI კაბელი	
RCA კაბელი	
კვების ბლოკი	

14. IPTV მომსახურების დამატებითი პირობები: IPTV მომსახურების ფარგლებში ტელეარხების ჩამონათვალი (დანართის გაფორმების დროისათვის აბონენტის მიერ არჩეულ პაკეტში შემავალი ტელეარხები):

-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----
-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----
-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----
-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----
-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----
-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----
-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----
-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----

15. VoIP მომსახურების დამატებითი პირობები:

სტანდარტული ტარიფები

ოპერატორის ფიქსირებული ქსელი	უღიმეტო (დადებითი ბალანსის ქონის შემთხვევაში)
ოპერატორის ფიქსირებული ქსელები	[-----] თეთრი/წითი
საქართველოს სხვა მობილური ქსელები	[-----] თეთრი/წითი
პაკეტის მოქმედების ვადა	[---] დღე

16. სტანდარტული ტარიფები, საერთაშორისო ზარის ღირებულება და სხვა დამატებითი სერვისის ტარიფები/პირობები ასევე მოცემულია ოპერატორის ვებგვერდზე.
17. ამ დანართით გათვალისწინებული პაკეტის ღირებულება აბონენტს დაერიცხება საერთო სააბონენტო ანგარიშზე - UID ანგარიშზე (ინტერნეტ/IPTV მომსახურების საფასურთან ერთად). საანგარიშო პერიოდი შეადგენს 30 კალენდარულ დღეს.
18. ისეთ მომსახურების მიღებისათვის, რომელიც არ შედის პაკეტში (მაგ. საერთაშორისო ზარი, დამატებითი სერვისი და ა. შ.) აბონენტს უნდა ჰქონდეს დადებითი ბალანსი VoIP მომსახურების ანგარიშზე (VoIP მომსახურების სააბონენტო ნომერზე), თუ ასეთი დამატებითი სერვისის პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. VoIP მომსახურების ანგარიშის იდენტიფიკატორია სააბონენტო ნომერი. VoIP მომსახურების ანგარიშიდან შეუძლებელია დანართით გათვალისწინებული ან/და მსგავსი პაკეტის შეძენა.
19. პაკეტით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების მიწოდება არ არის შეზღუდული. თუ ფიქსირებული ინტერნეტ/IPTV მომსახურება შეიზღუდა თანხის გადაუხდელობის გამო, მაგრამ VoIP მომსახურების ანგარიშზე არის დადებითი ბალანსი, აბონენტს ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს VoIP მომსახურებით, მხოლოდ სტანდარტული ტარიფებით, ბალანსის ამოწურვამდე.
20. თუ ფიქსირებული ინტერნეტ/IPTV მომსახურება დაპაუზებულია და VoIP მომსახურების ანგარიშზე არის დადებითი ბალანსი, აბონენტს ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს VoIP მომსახურებით, მხოლოდ სტანდარტული ტარიფებით.
21. აბონენტი ხელშეკრულების/დანართის გაფორმებით ადასტურებს, რომ მისი თანხმობით ოპერატორმა განახორციელა აბონენტის მომსახურების მიღების მისამართზე მომსახურების გასაწევად საჭირო საინსტალაციო სამუშაოები.

წინამდებარე დოკუმენტი ხელმისაწვდომი იქნება ელექტრონულ პორტალზე (MyMagti) აბონენტის მიერ იდენტიფიცირების გავლის შემთხვევაში. ამ დოკუმენტის ელექტრონული ფორმით ოფისში ან აბონენტის ფართში გაფორმებისას, დოკუმენტი აბონენტს გაეგზავნება საკონტაქტო ნომერზე ბმულის სახით მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით (ბმული ხელმისაწვდომი იქნება 30 დღის განმავლობაში).

ხელმოწერები:

ოპერატორის წარმომადგენელი	აბონენტი/უფლებამოსილი პირი